სკოლის მართვა

#4, 2022

„შთამომავლობამ უნდა დააფასოს ამ უანგარო მოღვაწის ღვაწლი, ბევრი დაცინვის მიუხედავად, მან ააგო ეს შენობა, რომელშიც ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით.“

ივანე ჯავახიშვილი

„თავისებური ბანდიტი“ – ნიკო ცხვედაძე

მონაწილეობა

ხუთეტაპიანი პროცესი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად

მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქართველოში

ISSN 1512-0279

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნებს:
„განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესში“
„კვლევაზე დაფუძნებული სწავლება“

სკოლის მართვა

#4, 2022

გამომცემელი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

სარედაქციო კოლეგია

ბერიკა შუკაკიძე
განათლების დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

დავით ხვედელიძე
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე

მაია არავიაშვილი
სოციოლოგიის დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ანალიტიკური სამსახურის უფროსი

ნატალია ინზოროყვა
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო-საგანმანათლებლო და მეთოდური რესურსების პროგრამის მენეჯერი

დენის წურწუმია
განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის შიდა აუდიტის სამმართველოს უფროსი, განათლების სამართლის მკვლევარი

კახა ჩხარტიშვილი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის იურიდიული სამსახურის უფროსი

მთავარი რედაქტორი:
ნათია ნაცვლიშვილი

კორექტორი:
მაია წიკლაური

ფოტოგრაფი:
ბელა ბედიანაშვილი

დიზაინერი:
ბესიკ დანელია

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

მისამართი:
თბილისი, სანდრო ეულის ქ. 5,
ელფოსტა: skolismartva@tpdc.ge

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალის რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1512-0279

www.tpdc.ge

ნათია ნაცვლიშვილი

მთავარი რედაქტორის სვეტი

როგორ სკოლას ვქმნით? როგორი მოსწავლეები გვინდა, რომ გვყავდეს? როგორი საზოგადოება, როგორი მსოფლიო გვინდა, რომ გვქონდეს?

თვალი რომ გადავავლოთ განვლილ ურთულეს წელს, ამ კითხვებზე გაცემულ მრავალ ფილოსოფიურ, უტყუარ და ღირებულ პასუხს შორის, აუცილებლად ვიპოვით იმას, რაც დემოკრატიის ქვაკუთხედს წარმოადგენს – მონაწილეობას.

ჩვენ გვინდა სკოლა, სადაც მოსწავლეს უსმენენ, მის აზრს ითვალისწინებენ და ასწავლიან, როგორ მიიღოს მონაწილეობა დიდი და მცირე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, როგორ იქცეს პასუხისმგებლიანი საზოგადოების წევრად, როგორ ჩაერთოს საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების მოგვარებაში, როგორ გამოხატოს თანადგომა სხვის მიმართ და როგორ იქცეს საერთო, გლობალური კონტექსტის აქტიურ ნაწილად.

სწორედ მონაწილეობითი კულტურაა ჩვენი ნომრის მთავარი თემა. მკითხველი გაეცნობა მონაწილეობის ძირითად პრინციპებს, თეორიულ ჩარჩოებსა და ფორმებს. ასევე, მიიღებს ინფორმაციას საქართველოში რამდენიმე თვის წინ ჩატარებული კვლევის შესახებ, რომელიც სწორედაც სკოლაში მოსწავლეთა მონაწილეობის ხარისხის შესწავლას ისახავდა მიზნად.

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ, თავადაც შეაფასოთ, უფრო ღრმად შეისწავლოთ თქვენი სკოლის მონაწილეობითი კულტურა, გამოგადგებათ ამ ნომერში წარმოდგენილი კითხვარები – მოსწავლის, მასწავლებლის, მშობლისა და საზოგადოების მონაწილეობის ხარისხის სათანადოდ გასაზომად.

მოსწავლის მონაწილეობითი კულტურის/კომპეტენციების განვითარებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება კლასის დამრიგებლის ფაქტორს. შესაბამისად, გიზიარებთ ერთ-ერთი სკოლის მიერ ინიცირებული და განხორციელებული ერთწლიანი პროექტის კონცეფციას, რომელიც ეხებოდა, სკოლებში დემოკრატიული კულტურისა და მოსწავლეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, სასკოლო სადამრიგებლო პროგრამის შემუშავებას. აღნიშნული პროექტი წარმატებით განხორციელდა, სკოლამ შეძლო მიღებული შედეგებისა და პროგრესის გაზომვა და ახლა, ინფორმაციის გაზიარებით, სხვა სკოლებსაც აძლევს მსგავსი პრაქტიკის დანერგვის საშუალებას.

...როგორც ჩვენი მიმდინარე ნომრის მთავარი გმირი, ნიკო ცხვედაძე ამბობდა, სათანადოდ თუ არ იქნა განმარტებული სკოლის ხასიათი, ვერ შევძლებთ კეთილდღეობის მიღწევას. არადა, საზოგადოების კეთილდღეობა არის ის, რასაც მიზნად ისახავდნენ განათლების მესვეურები ერთი საუკუნის წინ და რაც მთავარ ორიენტირს წარმოადგენს დღევანდელი მსოფლიოსთვისაც.

შინაარსი

N4, 2022

პორტრეტი

3 ლელა მახოხაშვილი
„თავისებური განდიტი" – ნიკო ცხვედაძე

დირექტორის ბიბლიოთეკა

8 ნიკო ცხვედაძე
ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა

მთავარი თემა

12 მონაწილეობა

29 ხუთეტაპიანი პროცესი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად

კვლევა

30 მაია არავიაშვილი
მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქართველოში

მთავარი თემა

39 ინსტრუქციები მოსწავლეთა შეხვედრების შედეგიანად წარმართვისათვის
მოამზადა სალომე ცხვედიანმა

სასკოლო პროექტები

42 ნინო ჩიხლაძე
სასკოლო პროექტები

მთავარი თემა

50 მოსწავლეთა მონაწილეობა სწავლის მიზნების განსაზღვრა-გააზრებაში და გაკვეთილის დაკავშირება რეალურ სამყაროსთან
მოამზადა ნინო გაგელიძემ

სკოლა და კანონმდებლობა

54 დენის წურწუმია
შემოწირულობების შესახებ

„თავისებური ბანდიტი“ – ნიკო ცხვედაძე

„დროება ყურებში ჩაგვძახის: განათლდით, განათლდით თორემ ცუდად იქნება საქმეო, და ჩვენ კი, გულ-ხელი დაგვიკრეფია და არა ვცდილობთ საზოგადო ძალით შევუდგეთ იმ დამაბრკოლებელი გარემოების გაქრობას, რომელიც დევნის ჩვენს მოსწავლე-ახალგაზრდობას,“ – ამ სიტყვებს ამბობდა ადამიანი, რომელმაც მთელი ცხოვრება მიუძღვნა ეროვნული სკოლისა და სახალხო განათლების სისტემის შექმნას და რომელიც ქვეყნის კეთილდღეობის მიღწევას ისახავდა მიზნად.

სტატიაში გიამბობთ ნიკო ცხვედაძეზე. პიროვნებაზე, რომელიც ერთდროულად აყალიბებდა თეორიულ პედაგოგიკას და, ამასთანავე, საფუძველს უქმნიდა მის პრაქტიკულ რეალიზებას; ნიკო ცხვედაძის მოღვაწეობა, სიტყვისა და საქმის ერთიანობით, მის თანამედროვეებთან, იაკობ გოგებაშვილთან, აკაკი წერეთელთან, დიმიტრი ყიფიანთან და სხვებთან ერთად, ქმნიდა ქართული დემოკრატიული სახალხო განათლების სისტემას, რომელიც საწინდარი უნდა გამხდარიყო ეროვნულ-ეკონომიკური აღორძინების, ეროვნული სულის აღზევებისა და ახალი, დამოუკიდებელი საქართველოს აშენების იდეისა.

დაიბადა 1845 წელს, სოფელ სოჭინში (ცხინვალის ხეობა), სადაც მებატონეებისგან შევიწროების გამო გადასახლებულან მშობლები. მისი მშობლები – მარიამ კავსაძე და ზებედე ცხვედაძე განათლებული და ღვთისმოშიში ადამიანები იყვნენ და დადებითი გავლენა მოახდინეს მომავალი განმანათლებლის შეხედულებებსა და აზროვნებაზე. ნიკომ ჯერ სასულიერო სემინარია, შემდეგ კი მოსკოვის სასულიერო აკადემია დაამთავრა, სადაც საფუძვლიანად შეისწავლა მეცნიერება და, თბილისში დაბრუნებისთანავე (1870 წ.), დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლად, სადაც მასთან ერთად ეწეოდა საქმიანობას იაკობ გოგებაშვილი და რომლის გავლენაც ნიკოს მსოფლმხედველობაზე ერთმნიშვნელოვნად დიდი იყო.

ნიკომ თავისი მრავალფეროვანი საგანმანათლებლო მოღვაწეობა პედაგოგობით დაიწყო და თავიდანვე აქტიურად ცდილობდა 60-იანი წლების მოწინავე იდეების დანერგვა-გავრცელებას. ალექსანდრე მიქაბერიძის გადმოცემით, „ახალგაზრდა მასწავლებელმა სასწავლებელში ფეხის შედგმისთანავე დაიმსახურა ჭეშმარიტი სიყვარული და პატივისცემა მოსწავლე-ახალგაზრდობისა“. ნიკო, იაკობ გოგებაშვილთან ერთად, სრულიად პროგრესულ საგანმანათლებლო პროგრამას ნერგავდა და, მიუხედავად იმისა, რომ ჯაშუშების მეცადინეობით ხშირად იქცევდნენ წმინდა სინოდის ყურადღებას და მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ, მაინც ახერხებდნენ სწავლებისას ეროვნული ღირებულებების

> „ვინ იცის, შეიძლება ამ ნიჭიერი ახალგაზრდის წყალობით ჩვენი მოზარდი თაობა ერთ დროს დატკბეს ქართული სიმღერებისა და მუსიკის სცენიდან მოსმენით. მე ღრმად მწამს, რომ ეს ასე მოხდება და კიდევაც ამიტომ დავუნიშნეთ სტიპენდია.“

> „შორს არ არის ის დრო, როდესაც დედათა საქმე თავისას გაიტანს და ეს მთელი ნახევარი სქესი კაცობრიობისა მოწვეულ იქნება წუთისოფლის სუფრაზედ თავისის კუთვნილი ადგილის დასაჭერად.“



> „მარად მოფუსფუსე, სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობის აგების საქმისათვის დამაშვრალი, მოადგილე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის, ილია ჭავჭავაძისა და ამ საზოგადოების სკოლების აღორძინებისა და კეთილდღეობისათვის მარად მზრუნველი“.
>
> თედო სახოკია

გატარებას: მათ რეფორმის ორი პროექტი შეიმუშავეს, რომელიც სემინარიაში ქართული ენის დამოუკიდებელი კათედრის დაარსებას ითვალისწინებდა, თუმცა ორივე მასწავლებელი მალევე გაათავისუფლეს სკოლიდან (1874 წ.) და არ დასცალდათ საქმის ბოლომდე მიყვანა.

ნიკოს სკოლიდან გათავისუფლება სრულიადაც არ ნიშნავდა მის დამარცხებას რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. მან სხვა სასწავლებლებშიც შეიტანა თავისი პროგრესული იდეები და წუთითაც არ აუღია ხელი ქართველი ახალგაზრდების ეროვნული სულისკვეთებით განმტკიცებაზე. 1874 წელს ამიერკავკასიის ქალთა (საქალებო) ინსტიტუტში განაგრძო მასწავლებლობა, სადაც შემდეგ 23 წელი გაატარა და აღსაზრდელებისთვის ისტორია, გეოგრაფია და პედაგოგიკა საყვარელ საგნად აქცია.

ნიკო ცხვედაძის მოღვაწეობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ პედაგოგობით, ის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და თავმჯდომარის — ილია ჭავჭავაძის უცვლელი მოადგილე იყო (1885-1907 წწ.). საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად, ხელს უწყობდა ახალი სკოლების გახსნას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, სადაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ სკოლა:

„ჩვენ ქართველ საზოგადოებას ბევრი აღთქმა მიგვიცია ამ ახლად შემოერთებული ჩვენი თვისტომებისთვის, მაგრამ საქმით კი ჯერ არა გაგვიკეთებია რაო,“ — ამბობდა იგი აჭარელი თანამემამულეების შესახებ და, მისივე ინიციატივითა და ხელშეწყობით, 1881 წელს ბათუმში საზეიმოდ გაიხსნა კიდევ ერთი ქართული სკოლა. მისივე თაოსნობით გაიხსნა სკოლები, ასევე, ქუთაისში, თბილისში, ძველ სენაკში, წინარეხში, ხელთუბანში და ბაქოშიც კი, სადაც მოსახლეობა მოკლებული იყო მშობლიურ ენაზე სწავლის ფუფუნებას და ხშირად ეროვნულ ნიადაგზე შევიწროების მსხვერპლიც იყო.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ნიკო ცხვედაძის მოღვაწეობას განსაკუთრებულს ხდიდა მისი სიტყვისა და საქმის ერთიანობა. ის წერდა, რასაც ფიქრობდა და ასრულებდა ყველა იმ იდეას, რასაც წერდა. მან უდიდესი წვლილი შეიტანა არა მხოლოდ ქართული სკოლების დაარსების საქმეში, არამედ სკოლებისთვის სასწავლო პროგრამების შემუშავებაშიც. მაგალითად, 1883 წლისთვის წინამძღვრიანთკარში ილია

წინამძღვრიშვილის მიერ დაარსებულ ცნობილ სამეურნეო სასწავლებელში სწორედ ნიკო ცხვედაძის მიერ შემუშავებული სასწავლო პროგრამით მიმდინარეობდა სწავლება.

და მაინც, ამდენ საშვილიშვილო საქმეს შორის, ჩვენი ჟურნალის მკითხველებისთვის განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს სკოლის მართვის მისეული გამოცდილება, როდესაც თბილისის ქართული გიმნაზიის გამგე კომიტეტის წევრად და თავმჯდომარის, კონსტანტინე მამაცაშვილის მოადგილედ აირჩიეს. ნიკო ცხვედაძე გიმნაზიის ფაქტობრივ ხელმღვანელს წარმოადგენდა. ამ სკოლაზე უდიდეს იმედებს ამყარებდნენ ქართველი მოაზროვნეები: „მაგრამ ყველაზე უფრო ჩვენ იმიტომ გვიხარიან ამ შკოლის გახსნა, რომ იმედი გვაქვს, იმაში დაისადგურებს ნამდვილი ქართული სული, ქართული ხასიათი; იქ არ დაავიწყდებათ ყმაწვილებს, რომ ისინი საქართველოს შვილნი არიან, რომ ისინი შემდეგში თავის ქვეყანას უნდა ემსახურონ, რომ საქართველოს ხალხისთვის იზრდებიან ისინი“ (მესხი, 1879).

ნიკო ცხვედაძეს უდიდესი წვლილი მიუძღვის გიმნაზიასა და მის გარეთ ტალანტების აღმოჩენისა და მათი ხელშეწყობის კუთხითაც. იგი გამუდმებით ინტერესდებოდა და ეძებდა ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომლებსაც საქართველოს ფარგლებს გარეთ აგზავნიდა განათლების მისაღებად და საქველმოქმედო-სასტიპენდიო ფონდიდან გასცემდა ამისთვის სახსრებს. 1888 წელს მისი თავმჯდომარეობით შეიქმნა სპეციალური კომიტეტი, რომლის მისია ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენა და მათი განვითარების ხელშეწყობა იყო. სწორედ მან აღ-

„შთამომავლობამ უნდა დააფასოს ამ უანგარო მოღვაწის ღვაწლი, ბევრი დაცინვის მიუხედავად, მან ააგო ეს შენობა, რომელშიც ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით.“

ივანე ჯავახიშვილი

1879 წელს ქშწკგს-ს სხდომაზე მან გამოკვეთილად აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო, თბილისში გახსნილიყო პედაგოგთა მოსამზადებელი კურსები, სადაც წამყვან ადგილს დაიკავებდა პედაგოგიკის ისტორია, პრაქტიკული პედაგოგიკა.

„თუ რაიმე საქმეს ხელს მოჰკიდებდა, გზიდან არ გადაუხვევდა. ჭირვეული იყო, ფანატიკოსი საქმისა. არ იცოდა, რა იყო დამცირება, არაკადნიერად მოქცევა, დაცინვა, – ყველას აიტანდა, ყველაფერს მოისმენდა, ოღონდ მიზნისათვის მიეღწია, განსაზღვრული საქმე საქმეზე მოეყვანა“.

იაკობ მანსვეთაშვილი

„მთელს საქართველოში ყულაბებით მოვაგროვებ ფულს, ისე წვრილად მოგროვილი ფულით დავამთავრებ ამ შენობას“.

მოაჩინა გიმნაზიის მასწავლებლის, ზაქარია ფალიაშვილის ტალანტი და მისივე ხელშეწყობით დაენიშნა მას სტიპენდია მუსიკალური განათლების მისაღებად – „ვინ იცის, შეიძლება ამ ნიჭიერი ახალგაზრდის წყალობით ჩვენი მოზარდი თაობა ერთ დროს დატკბეს ქართული სიმღერებისა და მუსიკის სცენიდან მოსმენით. მე ღრმად მწამს, რომ ეს ასე მოხდება და კიდევაც ამიტომ დავუნიშნეთ სტიპენდია.“ მსგავსი სიტყვები აფასებდა ის ყოველ ახლადაღმოჩენილ ნიჭს, რომელსაც შეეძლო ქართველი ხალხისთვის ეროვნული სიმდიდრე მოეტანა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ნიკო ცხვედაძე, სხვა ქართველ განმანათლებლებთან ერთად, ქალთა უფლებების გულმხურვალე დამცველიც იყო. იგი მიიჩნევდა, რომ ეროვნულ სკოლებს მთელი ერის მომავალი თაობა უნდა მოეცვა, მათ შორის, ქალებიც. შესაბამისად, განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ქართველ ქალთა განათლების მიმართ და თავის პედაგოგიურ პროგრამაში განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა ამ იდეას. „შორს არ არის ის დრო, როდესაც დედათა საქმე თავისას გაიტანს და ეს მთელი ნახევარი სქესი კაცობრიობისა მოწვეულ იქნება წუთისოფლის სუფრაზედ თავისის კუთვნილი ადგილის დასაჭერად,“ – წერდა იგი და ამის მიღწევის ერთადერთ გზად სწორედ მათ ფართო განათლებას ხახავდა.

ნიკო ცხვედაძე უდიდეს საჭიროებას ხედავდა მომავალ პედაგოგთა მომზადების კუთხითაც. ფიქრობდა, რომ მათ განსაკუთრებული განათლების მიღება სჭირდებოდათ იმისთვის, რომ საქმე ნაყოფიერად შეესრულებინათ და, რაც მთავარია, საჭირო იყო სკოლების ეროვნული კადრებით დაკომპლექტება. 1879 წელს ქშწკგს-ს სხდომაზე მან გამოკვეთილად აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო, თბილისში გახსნილიყო პედაგოგთა მოსამზადებელი კურსები, სადაც წამყვან ადგილს დაიკავებდა პედაგოგიკის ისტორია, პრაქტიკული პედაგოგიკა. იგი მასწავლებლებს უყენებდა მკაცრ მოთხოვნებს, რაც უნდა დაეკმაყოფილებინათ იმისთვის, რომ პედაგოგიური საქმიანობის საშუალება მისცემოდათ:

- მასწავლებელს უნდა ჰქონდეს ფართო ზოგადი განათლება;

- საფუძვლიანად უნდა ფლობდეს სასწავლო საგანსა და სწავლების თანამედროვე მეთოდიკას;
- მასწავლებელი უნდა იყოს ჭეშმარიტი ჰუმანისტი-დემოკრატი;
- მასწავლებელმა მეცნიერული ცოდნით უნდა შეაიარაღოს მოსწავლეები;
- მან უნდა განუვითაროს მოსწავლეებს დამკვირვებლობის უნარი საგნებსა და მოვლენებზე;
- მან უნდა განუვითაროს მოსწავლეებს წიგნის კითხვის სიყვარული;
- მან უნდა შეუწყოს ხელი ბავშვის შინაგანი ძალების გამოვლენა-განვითარებას.

ეს ყოველივე კი, მისი თქმით, უნდა ემსახურებოდეს მშრომელი ხალხის დაკავშირებას ერის ინტელიგენციასთან, იღებდეს მისგან ცოდნა-განათლებას და სულიერ საზრდოს[1].

და მაინც, ერთ-ერთი ყველაზე მეტად თვალსაჩინო სამსახური ნიკო ცხვედაძემ ქვეყანას ალბათ იმით გაუწია, რომ 1898 წლიდან სათავეში ჩაუდგა თბილისის ქართული გიმნაზიის ახალ შენობაში გადატანას. ეს გზა ურთულესი აღმოჩნდა მისთვისა და მისი თანამებრძოლებისთვის და 13 წელი შეალია ამ წამოწყების განხორციელებას. მისი მიზანი იმაზე უფრო დიდი იყო, ვიდრე გიმნაზიისთვის ახალი შენობის აშენება. აქ იგი ხედავდა მომავალ ქართულ უნივერსიტეტს, სადაც სათავე დაედებოდა უმაღლესი განათლების მიღებას. ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა მას ამ გზაზე, ფანტაზიორს ეძახდნენ, ჭკუიდან შეშლილს და გიჟს მხოლოდ იმიტომ, რომ ქართულ უნივერსიტეტზე ოცნებას ბედავდა. „მთელს საქართველოში ყულაბებით მოვაგროვებ ფულს, ისე წვრილად მოგროვილი ფულით დავამთავრებ ამ შენობას",—ამბობდა ენთუზიაზმით და მაინც შეაგროვა კარდაკარ, კაპიკ-კაპიკ ის თანხა, რითიც ჯერ ადგილი იყიდა ვარაზის ხევში, შემდეგ კი თავად შენობა ააგო.

„სწორედ გიჟია ეგ ვიღაც ცხვედაძეა, გადარეულა, ლამის მთელი ბანკის შემოსავალი სულ იმ შენობაში ჩაგვაყრევინოს," — ამბობდა მობეზრებული თავადაზნაურობა მასზე, როდესაც ნიკო ქველმოქმედებისთვის მიადგებოდა კარზე. ის კი დამაიმედებელი, ღიმილიანი სახით უპასუხებდა: „დაგვიჯერეთ, არ ინანებთ, მალე მადლობასაც გვეტყვით. აგერ ხმები ისმის, იქნებ კიდეც გამართლდეს, რომ თბილისში უნივერსიტეტის გახსნის ნებას გვაძლევენო. დეე, შენობა მზად გვქონდეს, იქნება როდისმე ქართულ უნივერსიტეტსაც ვეღირსოთ". იაკობ მანსვეტაშვილის შეფასებით, მან შექმნა „თავისებური ბანდიტიზმის" ისეთი კატეგორია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ სიხარულს და ბედნიერებას სთესავდა: „მართალია მას არ ჰქონდა რევოლვერი, მაგრამ დანარჩენს ყველაფერს, რაც ხმარებაში ჰქონდათ ნამდვილ ბანდიტებს, ნიკო მათზე ნაკლებად არ იყენებდა".[2]

ასრულდა ნიკოს ოცნება, შეიქმნა მის აშენებულ გიმნაზიის კედლებში ქართული უნივერსიტეტი და ძალიან სამწუხარო ფაქტია, რომ მის სიცოცხლეში ვერ მოესწრო ამ საშვილიშვილო საქმის დაგვირგვინება. თუმცა, არანაკლები სიმდიდრე დაგვიტოვა, როგორც პედაგოგიკური თეორიის შექმნის, ისე მისი პრაქტიკულად გამოყენების მხრივ. ნიკო ცხვედაძემ ნამდვილად შესწირა მთელი ცხოვრება ქართული ეროვნული სკოლის შექმნას და სათავე დაუდო განათლების იმ უმაღლეს კერას, სადაც დღემდე თავს იწონებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მოამზადა ლელა მახოხაშვილმა

> „დაგვიჯერეთ, არ ინანებთ, მალე მადლობასაც გვეტყვით. აგერ ხმები ისმის, იქნებ კიდეც გამართლდეს, რომ თბილისში უნივერსიტეტის გახსნის ნებას გვაძლევენო. დეე, შენობა მზად გვქონდეს, იქნება როდისმე ქართულ უნივერსიტეტსაც ვეღირსოთ".

შენიშვნა:

1 მენთეშაშვილი, შეროზია. (2013). მე-19 საუკუნის ქართველ განმანათლებელთა პედაგოგიური შეხედულებები.

2 მანსვეტაშვილი, იაკობ. (1936). მოგონებანი; ნახული და გაგონილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლია მენთეშაშვილი, ნატო შეროზია, მე-19 საუკუნის ქართველ განმანათლებელთა პედაგოგიური შეხედულებები, 2013
2. ნოდარ ბასილაძე, ქართული პედაგოგიკის ისტორია, 2013
3. იაკობ მანსვეტაშვილი, მოგონებანი; ნახული და გაგონილი, 1936
4. ივერია 1877, N35, გვ.10-13

ნიკო
ცხვედაძე

ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა

„ხალხს მხოლოდ განათლებით შეუძლიან გამდიდრდეს და გონიერად გამოიყენოს თავის შრომის ნაყოფი.“

ლავლეი

„ცოდნა არს ძლიერება ანუ ძალა.“

ბეკონი

„იგი არს საძირკველი ხალხის კეთილდღეობისა.“

ვივერშამ

» ეხლა სასწავლებლების დაარსება, განათლების გავრცელება ხალხის და მის ნამდვილ კეთილ-მყოფელთა სურვილია და ამისათვის ეხლანდელ სასწავლებლებს აქვთ საძირკვლათ დემოკრატიული ნიადაგი.

საითკენაც მიდგება და მოდგება კაცი, ყველგან ესმის გაცხარებული ლაპარაკი სასოფლო სასწავლებლების გამართვის თაობაზე, „სასწავლებლები გვინდაო. ჩვენ ხალხს თუ სასწავლებლები არ გავუმართეთ, ცუდად იქმნება მისი საქმეო“. აი, სიტყვები, რომლებსაც ძრიელ ხშირათ იმეორებს ეხლა ჩვენი საზოგადოება; მაგრამ ისე ხშირათ კი არა, როგორც რვა წლის წინეთ. მაშინ თითქმის დიდი და პატარა იმ კაცების წრიდამ, რომლებიც სიტყვით ხალხის კეთილდღეობის მოყვარენი იყვნენ და საქმით კი არა, დიდს მღელვარებაში იყო სასწავლებლის თაობაზე. ბევრს მოხუც კაცს, რომელიც, მინამ ბატონ-ყმობა გადავარდებოდა, სწუწნიდა ხალხს და სხვა და სხვა სახსრებით ისაკუთრებდა ხალხის ნაშრომს, მხოლოთ სასწავლებელიღა ჰქონდა სალაპარაკოთ. ზოგიერთები ცარიელ ლაპარაკს არ სჯერდებოდნენ. ესენი მთავრობის მინდობილობით დააქროლებდნენ ცხენებს ქართლსა და კახეთში, რომ რა არის სასწავლებლები გაემართათ, ამათ კიდევაც გამართეს, მაგრამ როგორი სასწავლებლები? ისეთი სასწავლებლები, რომლების დღეგრძელობა მოუფიქრებელი საქმე იყო. ერთი მითხარით, რა ხეირი უნდა ჰქონოდა სასწავლებლებს, როდესაც ისინი იმართებოდნენ იმისთვის კი არა, რომ მათის შემწეობით ხალხი ფეხზე წამოაყენონ, თვალები აუხილონ, ჭკუა-გონება მოძრაობაში მოუყვანონ და აჩვენონ ნამდვილი გზა ცხოვრებისა; არამედ იმისთვის, რომ ეს „მ ო დ ა“ გახლდათ, რომ სასწავლებლის გამართვით კაცი ჯილდოს ადვილად მიიღებდა და განათლებულ კაცების წრეშიაც ჩაეწერებოდა. რამდენმა მღვდელმა გამოიკრა სხვა და სხვა ჯილდო? მგზავრი საქართველოს ბევრ კუთხეში შეხვდება მღვდელს ვერცხლის საათით, რომელიც მიუღია მას მისთვის, ვითომ დიდი შრომა ეხმაროს სასწავლებლის დადგინებისთვის, თუმცა კი, როგორც ბოლოს გამოჩნდა, არც ერთს იმ ამათგანს, რომელნიც ჯილდოების გულისათვის ხალხის განათლების ასპარეზზე ფრიალებდნენ, არავითარი

შრომა არ უხმარიათ სასწავლებლის საკეთილოდ. გული მოუკვდება კაცს, როცა კაცი წარმოიდგენს მას, რასაც ეს ვაჟ-ბატონები ჰსჩადიოდნენ ქვეყნისა და მთავრობის თვალის ასაბმელად. ყოფილა მაგალითები, რომ მთავრობის მინდობილობით დიდი კაცი მიჰსდგომია კარს ერთს ვისმე მღვდელს, სასწავლებლის მოთავეს — სასწავლებლის გასასინჯავად. ეს უკანასკნელი ერთის ფაცა-ფუცით დატრიალებულა, მოუგროვებია პატარა ყმაწვილები თავის სახლში; მცოდნე ყმაწვილები დაუსხამს წინა სტოლებზე; გვერდით მოუსხამს თავის შვილებიცა. აი შებრძანებულა დიდი კაცი ამ გვარად ხელდახელ მომზადებულ სასწავლებელში. მღვდელი მასწავლებელი ერთს თავის შვილს აკითხებს ანბანს; მეორეს ათქმევინებს ლოცვებს; ბოლოს დროს თვითონ თავის შეგირდებით ამბობს გალობას. დიდ-კაცი აღტაცებში მოდის და ჰპირდება მღვდელს შრომისათვის ჯილდოს, ამ სურათით არ თავდება კიდევ საქმე. „ფოფოდაც“ (მღვდლის ცოლი) თავს მოუყრის აქეთ-იქიდამ პატარა ქალებს, აგროვებს თავის ნაცნობებში სხვა და სხვა ნაკერავებს და ნაქსოვებს და ამ რიგათ ამასაც დიდი კაცი აღტაცებაში მოჰყავს. წამობრძანებულა თუ არა დიდი კაცი და სასწავლებელიც დახშულა და მოსპობილა. მეორე დღეს სასწავლებელის კვალიც არსად ეტყობა. მაგრამ სულიერი მამა კი შეგირდების სიას არ ანებებს თავს და ყოველ წელიწადს ანუ ყოველ წლივ წარუდგენს ხოლმე მთავრობას, რომ რა არი მისი განუწყვეტელი ღვაწლი იქონიოს თვალწინ. ეს კიდევ ცოტაა. როგორც შარშანწინ გამოძიებამ გამოაჩინა, ბევრ მღვდელს კახეთისკენ მთავრობისგან ჯამაგირი აუღია მასწავლებლობისა და სასწავლებელი კი არსად ჰქონია. დაუმატეთ ამას ისიც, რომ თავად-აზნაურობის წრიდამ ზოგიერთი კერძო პირები კაცთმოყვარეობაზე თავს სდებდნენ და ადგენდენ კერძო საზოგადოებებს იმ აზრით, რომ სასწავლებელნი

გაემართათ. ესენი ყველას, ვინც კი სასწავლებელზედ ლაპარაკობდა, კაცთ-მოყვარეთა სთვლიდნენ. ამათი დებიც, რომლებსაც ცოტა-ოდენი განათლება მიეღოთ და უნდოდათ განათლებულ ქალებათ შერაცხულიყვნენ, ზაფხულობით რამდენსამე დღეს მუხლის გვერდზე მოისხამდნენ ხოლმე პატარა სოფლის ქალებს და წერა-კითხვას ასწავლიდნენ. მაგრამ რადგანაც სწავლება ადვილი საქმე არ არის, ამისთვის ჩვენი განათლებული ქალებიი მალე ბეზრდებოდნენ და საქმეს მომავლის წლისათვის გადაჰსდებდნენ ხოლმე.

ერთის სიტყვით, ხალხის სასწავლებელზე მზრუნველობა, ხალხის განათლებაზე ფიქრი და მეცადინეობა, ერთი ფართი-ფურთით ლაპარაკი იმაზე, რომ ხალხი გაუნათლებელია და სასწავლებლებით უნდა განათლდეს, ერთი ოხვრა და გულის შემატკივრობა ხალხის უვიცობისა და უმეცრებისა გამო — ყველა ეს აღელვებდა ამ შვიდის წლის წინეთ ჩვენში ბევრ მოხუცს და ყმაწვილ კაცსაც. მაგრამ ეს ბევრი მოხუცი

ჩვენ მხოლოდ ვგრძნობთ, რომ სწავლა გვინდა; ქვეყნიერობის შეტყობა საჭიროა ჩვენთვის, და თუ ჩვენ ასე უსწავლელნი დავრჩით, კიდევ რამდენიმე წელიწადს, მაშინ მიწასთან გავსწორდებით: ეს ჩვენი მშვენიერი მიწა-წყალი სხვებს დარჩება და ჩვენ კი პირში თით-გამოვლებული ვიტოტიალებთ ამ დედა-მიწის ზურგზე. ამისათვის ჩვენ მზათ ვართ სახლებიც ავაშენოთ სასწავლებლებისათვის და ჯამაგირიც ვაძლიოთ მასწავლებლებს; მხოლოდ კი თქვენ ყველამ თაოსნობა გაგვიწიეთ ამ საქმეში, ამოგვირჩიეთ მასწავლებლები და მოგვიწყვეთ შკოლები.“ «

ხალხის ყველა გულის შემატკივარი, ვისაც კი ცოტა რამ გაეგება, ვისაც კი შეუძლიან კალმის ხელში აღება, ვალდებულია, აი ეხლა დაეხმაროს სასწავლებლების ხასიათის განმარტებას.

თუ ყმაწვილი კაცნი ჰქადაგებდნენ ზემოთ მოყვანილს აზრებს იმისთვის კი არა, რომ მართლა სულითა და გულით სდომნებოდათ ხალხის წინ წაწევა; რომ ცხადი წარმოდგენა ჰქონოდათ იმისა, რომ თვითონ ისინი შეადგენენ ხალხის ნაწილს; რომ იმათი ბედი და უბედობა ხალხის ბედსა და უბედობასთან ჩართული და გადაბმულია. ესენი ჰქადაგებდნენ და ღელავდნენ იმისათვის, რომ (როგორც ზემოთ ვთქვით) ხალხის განათლებაზე ლაპარაკის „მოდა" იყო და ხომ იცი, მკითხველო, თუ რანაირი მოქმედება აქვს მიბაძვას ჭკუით და გონებით მოუმზადებელ კაცზედ. ამას ისიც დაუმატეთ, რომ თავად-აზნაურობას თავისი სარგებლობა ჰქონდა, როდესაც ეს ჰქადაგებდა გლეხების განათლებას. რა სარგებლობაა? იკითხამ მკითხველო. აი რა სარგებლობაა. ჩვენ ვიცით, რომ მინამ ბატონ-ყმობა გადავარდებოდა, მინამ ჩვენ ხალხს დაუდგებოდა 1864 წ. გლეხები შრომობდნენ, წელებზე ფეხს იდგამდნენ, რომ, რა არი, დაეკმაყოფილებინათ თავიანთი ბატონები. ეს უკანასკნელები კიდევ თავიანთ მხრით ესარჩლებოდნენ თავიანთ გლეხებს და არავის აჩაგვრინებდნენ. აბა ერთი მოიგონეთ, თუ რა დიდი გული ჰქონდათ მუხრანბატონის კაცებს, ანუ რომელიმე მძლავრ ბატონის კაცებს. რისთვის? ამისთვის, რომ მძლავრი ბატონი ყოველგან დაეხმარებოდა თავის გლეხს და არავის დააჩაგვრინებდა. მაშინ ასეთი წესი იყო. თვითონ მებატონე თუმცა სჩაგრამდა თავის გლეხს, უმწარებდა ცხოვრებას, ლუკმას პირიდამ ართმევდა, მაგრამ ცეცხლს კი გადიყრიდა თავზე, თუ ვინმე სხვა გაჰბედამდა და მის გლეხს ხელიდამ რასმეს წაგლეჯდა. ბატონის ამ გვარი საქციელი არ იყო საკვირველი, რადგანაც ის გლეხს უცქეროდა ისე, როგორც თავის ლუკმას და ამისათვის არავის აძლევდა ნებას ამ ლუკმის გამოღრღნისას. აი, ბატონ-ყმობა გადავარდა; გლეხები განთავისუფლდნენ. ბატონებს, რადგანაც ჩვეულნი იყვნენ თავიანთ ყმებზე მზრუნველობას, რასაკვირველია, უნდა რითიმე კიდევ გამოეჩინათ, გამოეცხადებინათ თავიანთი მფარველობა გლეხებზე. ესენი ასეც მოიქცნენ, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ. ზოგიერთი ბატონები ჰქადაგებდნენ ხალხის განათლებას, მის ფეხზე წამოყენებას. მაგრამ ამათ მფარველობას, ამათ გულშემატკივრობას გლეხის მდგომარეობისადმი ბატონური ხასიათი ჰქონდა და ამისთვის არ შეიძლო და ვერც შეჰძლებდა, რომ ხალხისათვის სარგებლობა მოეტანა.

ასე, ჩვენის სოფლის სასწავლებლებს მფარველებათ ჰყვანდნენ ამ შვიდის წლის წინეთ ერთის მხრით თავად-აზნაურობა (რასაკვირველია აქ უნდა ვიგულისხმოთ რამდენიმე თავადების და აზნაურების სახლობა და არა თუ მთელი თავად-აზნაურობა), მეორეს მხრით სამღვდელოება. ეს უკანასკნელი წოდება ასრულებდა თავად-აზნაურობის გულის წადილს, — და ამ გვარად ორივეს, როგორც სამღვდელოებას, ისე თავად-აზნაურობას, ჰქონდა სახეში მხოლოდ თავისი სარგებლობა, რაც შეეხება გლეხობას, ხალხს, რომლისთვისაც ჰმართავდნენ სასწავლებლებს, ეს გულმშრალათ უცქეროდა თავის მფარველების მოქმედებას და თავის გულში ამბობდა: „განა შესაძლებელი საქმეა, რომ ამ მფარველებმა, რომლებიც ორის დღის წინეთ სულს მართმევდნენ, ცოლ-შვილს მიწიოკებდნენ, მშიერ-მწყურვალს მიშვებდნენ, რომ ამ მფარველებმა კარგი რამ მოინდომონ ჩენთვის? ეს იყო მიზეზი, რომ გლეხები თავიანთ შვილებს აგრე რიგათ არ ჰგზავნიდნენ სასწავლებლებში, რომლებიც რაღაც მანქანების ძალით ხან ჩნდებოდნენ, ხან კიდევ ჰქრებოდნენ. მაგრამ ზოგიერთი მფარველისთვის რომ გეკითხნა, ხალხი რა მიზეზით არ იღებს მხურვალე მონაწილეობას სასწავლებლების გამართვაში, გეტყოდა: „ბატონო, გლეხები ბრიყვები არიან, არა ესმით რა; პირუტყვები არიან სრულებით. ვეუბნებით: „სასწავლებელი გინდათ, უნდა განათლდეთ". ახლა რა პასუხს გვეუბნებიან? „ჰოო, ბატონო, შკოლა საჭიროა". მაგრამ გვშორდებიან და ყველაფერი ავიწყდებათ. ზოგი კიდევ სხვანაირად აგიხსნიდათ. „ბატონო, გლეხებს სასწავ-

ლებლებისა ეშინიანთ — ჰგონიათ, რომ თუ სასწავლებლებში გაიზარდნენ მათი შვილები, ხელმწიფე სალდათებად წაიყვანს.“ მაგრამ ყველა ეს ახსნა ყმაწვილურია, — და ხალხის გულ-მშრალობას განათლებაზე აქვს და ჰქონდა საზოგადოებრივი მიზეზი.

დიდი გამოცანა არ უნდა, რომ რადგანაც სასწავლებლების დაარსებას ცდილობდნენ თავად-აზნაურობა და სამღვდელოება, ამისათვის სასწავლებლებს ხან-გრძლივობა არ ჰქონდა და არც ექნებოდა. ქარის შემოტანილს, ქარივე წაიღებსო, ამბობს ხალხი და ეს ანდაზა ზედ არის გამოჭრილი შკოლის ჩვენში მიმავლობაზე, ქარის ძალით დააარსეს სასწავლებლები და ქარისავე ძალით განქრნენ ჩვენს სამშობლოში.

როგორც ზემოთ შევნიშნე, ეხლაც ლაპარაკობენ სასწავლებლებზე, ეხლაც მართავენ; მაგრამ ეხლანდელს ლაპარაკს სასწავლებლებზე აქვს სრულებით სხვა ხასიათი და ამისათვის ეხლანდელი სასოფლო სასწავლებლები დიდათ განირჩევიან უწინდელ სასწავლებლებისაგან, რომლებიც განქრნენ რაღაც მანქანების ძალით დედამიწის ზურგიდამ. რა ხასიათი? იკითხავს მკითხველი და აი ამის პასუხი: ეხლა მომატებული ნაწილი იმ კაცებისა, რომლებიც კი მიიდრკიან შკოლების გასავრცელებლად, შეადგენენ ხალხის სისხლს და ხორცს; იგინი არაფრით არ განირჩევიან ხალხისაგან. იგინი არიან მათი გულ შემატკივარნი. ხალხს ეს კარგათ ესმის და აბა წარმოიდგინეთ, თუ რა ბეჯითობით, რა გამრჯელობით, რა თავ-განწირულობით გლეხები ერთმანეთში ფულს აგროვებენ, რომ რა არი სასწავლებლები გაიმართონ. ერთის წლის განმავლობაში რამდენიმე სასწავლებელი გაიხსნა კახეთში და იცით ვის ხარჯზე? ხალხის ოფლით ნაშოვარ ხარჯზე. ხალხი თითქმის ასე ეუბნება თავის მოწინავე კაცებს: „ჩვენ თვითონ თავი არა გვაქვს სასწავლებლების გამართვისა და ამ საგნისა არაფერი არა გვესმის რა. ჩვენ უთაურები ვართ. ჩვენ მხოლოდ ვგრძნობთ, რომ სწავლა გვინდა; ქვეყნიერობის შეტყობა საჭიროა ჩვენთვის, და თუ ჩვენ ასე უსწავლელნი დავრჩით, კიდევ რამდენიმე წელიწადს, მაშინ მიწასთან გავსწორდებით: ეს ჩვენი მშვენიერი მიწა-წყალი სხვებს დარჩება და ჩვენ კი პირში თით-გამოვლებული ვიტოტიალებთ ამ დედა-მიწის ზურგზე. ამისათვის ჩვენ მზათ ვართ სახლებიც ავაშენოთ სასწავლებლებისათვის და ჯამაგირიც ვაძლიოთ მასწავლებლებს; მხოლოდ კი თქვენ ყველამ თავოსნობა გაგვიწიეთ ამ საქმეში, ამოგვირჩიეთ მასწავლებლები და მოგვიწყვეთ შკოლები.“ მართლადაც როგორც ნამდვილად შეტყობილი გვაქვს, ბევრ ადგილას სასწავლებლები არ არის მარტო იმ მიზეზით, რომ ხალხს თავი ერთად ვერ მოუყრია, რომ რა არი დაადგინონ თავიანთი აზრი შკოლის დაფუძნებაზე და ამოირჩივონ მზრუნველები სასწავლებლის საქმის საწარმოებლად. — ისე კი ყველას დიდი სურვილი აქვს და მზათ არის თავის მხრით ყოველივე შემწეობა აღმოუჩინოს სასწავლებელს — სასწავლებლების გამართვაში. მამასახლისებს შეეძლოთ, დიდი მონაწილეობა მიეღოთ, მაგრამ საუბედუროთ ესენი არაფერს კისრულობენ და ამისათვისაც, თუმც ხალხს დიდი სურვილი აქვს განათლებისა, სასწავლებლების საქმე ასე ვერ მიდის, როგორც სასურველია, უნამეტნავესად ქართლში.

ამ სახით, ეხლა სასწავლებლების დაარსება, განათლების გავრცელება ხალხის და მის ნამდვილ კეთილ-მყოფელთა სურვილია და ამისათვის ეხლანდელ სასწავლებლებს აქვთ საძირკვლათ დემოკრატიული ნიადაგი. ამათ მოელის ხანგრძლიობა, დიდი-ხნობით მოქმედება. თუ ეს ასეა, თუ ეხლანდელ სასწავლებლებბის გახსნა არის დაფუძნებული თვითონ ხალხის სურვილზე, მის მონდომილობაზე, მის საჭიროებაზე, მაშ რაღა კითხვა უნდა, რომ ხალხის ყველა გულის შემატკივარი, ვისაც კი ცოტა რამ გაეგება, ვისაც კი შეუძლიან კალმის ხელში აღება, ვალდებულია, აი ეხლა დაეხმაროს სასწავლებლების ხასიათის განმარტებას.

მონაწილეობა

> ბავშვებისა და მოზარდების აღნიშნული უფლებით სარგებლობას უზრუნველყოფს ბავშვის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციის მე-12 მუხლი, რომლის თანახმადაც, ბავშვს აქვს უფლება, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი შეხედულებები „ბავშვთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე".

მონაწილეობა და მისი შეფასება სკოლაში

სკოლის დირექტორებისა და, ზოგადად, სკოლისთვის ცნობილია, რომ დემოკრატიული ინსტიტუტები და დემოკრატიის პრინციპები ეროვნული კონსტიტუციით არის გამყარებული და მონაწილეობის იდეა ჩართულია სასკოლო საგანმანათლებლო პროგრამებში. შესაბამისად, მონაწილეობის პრინციპების სწავლება პირადი არჩევანის საგანს არ წარმოადგენს. ბავშვები და მოზარდები უნდა სარგებლობდნენ იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში მონაწილეობის უფლებით, რომლებიც მათ ჯანმრთელობას, კეთილდღეობასა და განვითარებას ეხება. ბავშვებისა და მოზარდების აღნიშნული უფლებით სარგებლობას უზრუნველყოფს ბავშვის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციის მე-12 მუხლი, რომლის თანახმადაც, ბავშვს აქვს უფლება, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი შეხედულებები „ბავშვთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე".

ჩვენ ყოველთვის აღვნიშნავთ, რომ დემოკრატიის ძირითადი პრინციპები მოიცავს ადამიანის უფლებებსა და ბავშვთა უფლებებს. შესაბამისად, უმცირესობებისა და სუსტი და მოწყვლადი ადამიანების ჯგუფების დასაცავად, მაგალითად, როგორიცაა ბავშვები და ახალგაზრდები, უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე გარკვეული ზღვრებია დაწესებული. ძალიან მნიშვნელოვანია, სწორი და კონკრეტული პასუხი გვქონდეს კითხვაზე – როგორც უნდა შევუწყოთ ხელი სკოლაში მონაწილეობითი კულტურის განვითარებას?

ქვემოთ მოცემულია იდეალური მოდელი, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება მონაწილეობის ხარისხი მერყეობდეს 0-დან (არარსებული) მე-5 დონემდე (სრული ავტონომია).

1. ადამიანებს არ მიეწოდებათ ინფორმაცია იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც მათ ეხება. მათ ევალებათ, დაექვემდებარონ წესებსა და კანონებს და შეასრულონ ბრძანებები და განკარგულებები.
2. ადამიანებს მიეწოდებათ ინფორმაცია იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც მათ ეხება, თუმცა მათ არ აქვთ ამ გადაწყვეტილებაზე ზემოქმედების შესაძლებლობა.
3. ადამიანებს ეკითხებიან აზრს, თუმცა მათი მოსაზრებებისა და პოზიციების გათვალისწინება აუცილებლობას არ

წარმოადგენს, იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც მათ ეხება.

4. ადამიანები სარგებლობენ საკუთარი მოსაზრებებისა და პოზიციების თავისუფლად გამოთქმის უფლებით და მათი მოსაზრებებისა და პოზიციების გათვალისწინება სრულად უზრუნველყოფილია საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას იმ საკითხზე, რომელიც მათ ეხება.
5. ადამიანები სარგებლობენ სრული ავტონომიით; ისინი თავად იღებენ გადაწყვეტილებას იმ საკითხებზე, რომლებიც მათ ეხება.

მონაწილეობის მოცემულ მოდელში პირველ და მეორე დონეებზე მნიშვნელოვან ცვლადად მიიჩნევა ინფორმაციის მიწოდება, ხოლო მე-3-დან მე-5 დონის ჩათვლით – თავისუფლება და თანასწორობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ავტორიტარული ხელმძღვანელობის პირობებში, სკოლაში მონაწილეობის მაჩვენებელი იქნება 1-ელ ან მე-2 დონეზე. დემოკრატიული სკოლის საზოგადოებაში მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ მე-3, მე-4 და, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს, მე-5 დონის შესაბამისად. თუმცა ის, რაც ამ მოდელში არ არის

ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ, ᲘᲡᲔᲕᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲖᲝᲒᲐᲓᲐᲓ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲨᲘ, ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲣᲬᲔᲕᲡ ᲒᲐᲛᲙᲚᲐᲕᲔᲑᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲔᲑᲗᲐᲜ. ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲔᲜ ᲗᲐᲜᲐᲑᲐᲠᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲠᲐᲗᲐᲜᲐᲑᲐᲠᲘᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲙᲝᲛᲞᲔᲢᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔ ᲓᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛᲝᲡᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ.

> **დარწმუნდით, რომ ყველა მონაწილე მუდმივად არის ინფორმირებული მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, და/ან უზრუნველყავით მათი წვდომა შესაბამის ინფორმაციაზე.**

ნაჩვენები, არის ის, რომ მონაწილეობა სწავლას საჭიროებს და მოსწავლეები უნდა ფლობდნენ სათანადო კომპეტენციებს, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს, სრულყოფილად აღიქვან ინფორმაცია საკითხებზე და ამ საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე.

სკოლაში, ისევე როგორც ზოგადად საზოგადოებაში, დემოკრატიას მუდმივად უწევს გამკლავება მონაწილეობასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან. მოქალაქეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით, თუმცა არათანაბარია მათი კომპეტენციების დონე და უფლებამოსილებები. სკოლის ხელმძღვანელისა და მასწავლებლების ძალისხმევა საჭიროა უმცროსი ასაკის ან გაუბედავი მოსწავლეების წასახალისებლად, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. და მათი ძალისხმევა, ასევე, საჭიროა იმისათვის, რომ უფროსი ასაკისა და აქტიურმა მოსწავლეებმა გააცნობიერონ საკუთარი პასუხისმგებლობა.

მონაწილეობითი დემოკრატიის ძირითადი ასპექტები სკოლაში

თქვენი, როგორც სკოლის ხელმძღვანელის ქმედებები უმნიშვნელოვანესია სკოლის დემოკრატიულ ან (უფრო დემოკრატიულ) საზოგადოებად ქცევის საქმეში. თუ თქვენ გსურთ, ხელი შეუწყოთ დემოკრატიულ მონაწილეობას თქვენს სკოლაში, გეგმების შედგენისა და ქმედებების განხორციელების პროცესებში გაითვალისწინეთ ქვევით ჩამოთვლილი მნიშვნელოვანი ასპექტები:

- იყავით აქტიური მსმენელი (რისი თქმა სურთ რეალურად თქვენს გარშემომყოფ პირებს? რა მოსაზრებები გააჩნიათ მათ? რა სჭირდებათ მათ? როგორ აღიქვამენ ისინი მიმდინარე მოვლენებსა თუ ფაქტებს?). სხვების დარწმუნებას შეეცადეთ მხოლოდ ლოგიკური და ამომწურავი არგუმენტებით. ღიად დასვით კითხვები და, ასევე, ღიად უპასუხეთ კითხვებს, რომლებსაც თქვენ გისვამენ. გულახდილად და გულწრფელად გამოთქვით და განმარტეთ თქვენი დამოკიდებულებები, ვარაუდები, გრძნობები იმ საკითხის მიმართ, რომლის შესახებაც ხდება გადაწყვეტილების მიღება. გააანალიზეთ მიღებული უკუკავშირი. შეაჯერეთ ყველა განსხვავებული შეხედულება და მოსაზრება (რა საერთო აქვს საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ ყველა მოსაზრებასა და შეხედულებას?).
- გამოკვეთეთ ის ღირებულებები და ხედვები, რითიც უნდა ხელმძღვანელობდეს თქვენი სკოლა და იმსჯელეთ ამ ღირებულებებსა და ხედვებზე სკოლის პერსონალთან და მოსწავლეებთან ერთად. შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, ეცადეთ, მიღწეული იყოს ერთსულოვანი შეთანხმება ამ ღირებულებებისა და ხედვების თაობაზე.
- გადაწყვეტილების მიღებისას, შეინარჩუნეთ მაქსიმალური გამჭვირვალობა გადაწყვეტილების წინაპირობებთან, არსებულ შეზღუდვებთან და შესაძლებლობებთან დაკავშირებით. მაგალითად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაითვალისწინეთ სამართლებრივი ჩარჩო, ბიუჯეტი და ადგილობრივი პირობები. ამგვარ საკითხებზე ისაუბრეთ გარკვევით და ღიად. დარწმუნდით, რომ ყველა მონაწილე მუდმივად არის ინფორმირებული მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, და/ან უზრუნველყავით მათი წვდომა შესაბამის ინფორმაციაზე.
- ისინი, ვინც ტოლერანტობის უნარს არასათანადოდ ფლობენ, მარტივ და ინდიფერენტულ მიდგომას ირჩევენ

სხვების მიმართ. ტოლერანტობის უფრო მაღალი ხარისხი საშუალებას გვაძლევს, გავამდიდროთ ჩვენი გამოცდილება კონსტრუქციული დიალოგის წარმოებითა და სხვების გაგების გულწრფელი მცდელობებით. შეეცადეთ, უფრო შემწყნარებელი იყოთ ისეთ ადამიანებთან ან ადამიანთა ჯგუფებთან ურთიერთობისას, რომლებსაც თქვენგან განსხვავებული შეხედულებები და მოსაზრებები გააჩნიათ.

- უზრუნველყავით პოზიტიური, მშვიდობიანი გარემო, სადაც თავს ყველა უსაფრთხოდ იგრძნობს, ექნება განცდა, რომ მას პატივისცემით ეპყრობიან და, ასევე, თქვენი საზოგადოების წევრებს გაუჩნდებათ საზუგადოებბრივი კუთვნილების განცდა. შექმენით გარემო, რომელიც უზრუნველყოფს ერთმანეთის მიმართ პატივისცემასა და თანაგრძნობას. შემოიტანეთ და დაამკვიდრეთ კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების საშუალებები.
- მზად იყავით, საკუთარი უფლებამოსილება და პასუხიმგებლობა გაუნაწილოთ სხვებს. დარწმუნდით, რომ დაინტერესებული მხარეები მონაწილეობენ იმის თაობაზე შეთანხმებაში, თუ რისი გაკეთება ევალებათ მათ და როგორ. მზად იყავით კრიტიკის მისაღებად და იზრუნეთ კონტროლის ნდობით ჩანაცვლებაზე. დარწმუნდით, რომ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ რისკებს თქვენთან ერთად სხვებიც იზიარებენ და რომ ამ რისკების შესახებ ყველა მონაწილე ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას.
- მუდმივად გახსოვდეთ, რომ ყველა უნდა სარგებლობდეს პროცესში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობით. თქვენს დახმარებასა და მხარდაჭერას საჭიროებენ მოწყვლადი, სოციალურად თუ სხვაგვარად დაუცველი და მარგინალიზებული ჯგუფები. როდესაც საქმე ეხება შესასრულებელი ამოცანებისა და ფუნქციების გადანაწილებას, გაითვალისწინეთ ის ინტერესი და კომპეტენციები, რომლებსაც ეს პირები ფლობენ.
- წაახალისეთ და ხელი შეუწყეთ მოსწავლეთა ინიციატივებს და უზრუნველყავით მოქნილი გარემო მათ განსახორციელებლად. იმ შემთხვევაში თუ ეს გამართლებულია, დაუშვით დამკვიდრებული წესებიდან მცირედ გადახვევის შესაძლებლობაც და უზრუნველყავით გარემო, სადაც მოსწავლეებისთვის შესაძლებელი გახდება სრულიად შემოქმედებითი მიდგომების გამოყენება, ახალი იდეების გამოცდა და თუნდაც შეცდომების დაშვებაც.

დაინტერესებული პირები

თუ სკოლაში მონაწილეობითი კულტურის დანერგვა გსურთ, აუცილებელია, განსაზღვროთ, თუ რომელი ჯგუფები უნდა იყვნენ ჩართულნი შესაბამის პროცესებში და რა ფუნქციები უნდა ჰქონდეთ მათ. გარდა ამისა, გახსოვდეთ, რომ სამართლებრივად არის დადგენილი ისეთი რგოლების აუცილებლობა, როგორიცაა მოსწავლეთა თვითმმართველობა ან სკოლის სამეურვეო საბჭო და თქვენ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ეს შესაძლებლობები თუ მათთან დაკავშირებული რეგულაციები და მაქსიმალურად შეეცადოთ, სკოლის სასიკეთოდ გამოიყენოთ ისინი.

თქვენი საქმიანობა ყოველდღიურად უნდა მოიცავდეს შემდეგი ჯგუფების აქტიური მონაწილეობის პრაქტიკას:

მოსწავლეები

...წარმოადგენს პირველი რიგის სამიზნე ჯგუფს, რომელთა მოვალეობაშიც შედის

> «
> ყველა უნდა სარგებლობდეს პროცესში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობით. თქვენს დახმარებასა და მხარდაჭერას საჭიროებენ მოწყვლადი, სოციალურად თუ სხვაგვარად დაუცველი და მარგინალიზებული ჯგუფები.

სწავლა. მათი ჩართვა შესაძლებელია გაკვეთილის დროს განხორციელებულ სწავლებისა და სწავლის პროცესებში, ისეთ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, რომლებიც მთლიან კლასს ეხება (საკლასო წესები, ექსკურსიები, საზოგადოებრივი საქმიანობა და ა.შ.) და, ასევე, ისეთ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, რომლებიც მთლიან სკოლას ეხება, მაგალითად, ინფრასტრუქტურა, სასკოლო ღონისძიებები, საერთო სასკოლო წესები. გარდა ამისა, მოსწავლეები ფასდაუდებელ რესურსს წარმოადგენენ საკლასო გარემოში ან მთლიანად სკოლის მასშტაბით რეფორმისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

> **კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მონაწილეობა მაშინ არის ღირებული, როდესაც იგი გულახდილობას ეფუძნება.**

მშობლები

...პასუხისმგებელი არიან საკუთარ შვილებზე. აქედან გამომდინარე, ისინი გადამწყვეტ როლს ასრულებენ საკუთარი შვილების განათლების საქმეში. სკოლაში სათანადო განათლების მიღება და მოსწავლეების წარმატების უზრუნველყოფა შეუძლებელია მშობლების მხარდაჭერისა და მათი მხრიდან თანამშრომლობისათვის მზაობის გარეშე. მშობლების სასკოლო პროცესებში ჩართვა მრავალი სხვადასხვა გზით არის შესაძლებელი. ეფშტეინი გვიზიარებს მოსაზრებებს მშობელთა სასკოლო პროცესებში ჩართვასთან დაკავშირებით, მათ შორის, მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე, თუ როგორ უნდა დაეხმარონ ისინი საკუთარ შვილებს, სკოლაში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიმართულებით, ან როგორ უნდა მოხდეს მათთვის ინფორმაციის მიწოდება რეგულარულად, თავიანთი შვილების მიღწევებისა და სასკოლო პროგრამების შესახებ. ხშირად მიეცით მშობლებს საშუალება, მოხალისეების რანგში ჩაერთონ სასკოლო პროცესებში, მაგალითად, მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ღონისძიებებში ან სხვადასხვაგვარი დახმარება გაუწონ სკოლას. გაუჩინეთ თანამშრომლობის სურვილი, მიკუთვნებულობის განცდა და რწმენა, რომ მშობლებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში.

მასწავლებლები

...მასწავლებლები ყველაზე კარგად იცნობენ მოსწავლეების ძლიერ თუ სუსტ მხარეებსა და პიროვნულ მახასიათებლებს. მასწავლებლები სკოლის ხელმძღვანელის ყველაზე მნიშვნელოვან მოკავშირეებს უნდა წარმოადგენდნენ. სკოლის ხელმძღვანელსა და მასწავლებლებს შორის რეგულარული შეხვედრები სკოლების უმრავლესობაში მიღებული და კარგად დამკვიდრებული პრაქტიკაა. ამ შეხვედრების ფორმატში შესაძლებელია: ახალი რეგულაციების ღიად განხილვა და თქვენს სკოლაზე ამ რეგულაციების ზემოქმედებასა და შედეგებზე მსჯელობა, მასწავლებელთა დამოკიდებულებებისა და გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მიღება, ინიციატი-

ვების წახალისება, პასუხისმგებლობების განაწილება და, რა თქმა უნდა, მასწავლებლების ჩართვა სკოლაში მიღებულ თითქმის ყველა გადაწყვეტილებაში. ამ შეხვედრებისთვის გთავაზობთ, რომ წინასწარ შეიმუშაოთ თვის/სემესტრის/წლის გრაფიკი და შეხვედრების განრიგთან, მიმდინარეობასთან და პერიოდულობასთან დაკავშირებით ინფორმაცია სკოლის ზოგადი ფუნქციონირების ნაწილი იყოს.

საზოგადოება

...ქმნის სოციალურ კონტექსტს, რომელშიც თქვენი სკოლა ფუნქციონირებს. საზოგადოების წარმომადგენლები მოიცავს რიგით მოქალაქეებს, საჯარო და კერძო ასოციაციებს, საწარმოებსა და კომპანიებს, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ინსტიტუტებს (სამედიცინო დაწესებულებები, პოლიცია და ა.შ.) და, აგრეთვე, საჯარო მოხელეებსა და საჯარო პოლიტიკაზე პასუხისმგებელ პირებს. ამ პირებთან მჭიდრო თანამშრომლობა სკოლას მის მიერ შეთავაზებული იმ მომსახურების გაფართოების საშუალებას აძლევს, რომელიც მოსწავლეებისა და მათი მშობლების საჭიროებების დაკმაყოფილებას ემსახურება. სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ისეთი დაინტერესებული მხარის ჩართვა, როგორიც საზოგადოებაა, სკოლის საქმიანობის საზოგადოების საჭიროებებზე მორგების შესაძლებლობას გვაძლევს. მაგალითად, თუ პოლიციის ხელთ არსებული ინფორმაციით, გაზრდილია ვანდალიზმის შემთხვევების რიცხვი, ან, ექიმების თანახმად, ბავშვებს შორის იმათა ვიდეოთამაშებზე დამოკიდებულების დონემ, სკოლას შეუძლია ამ პრობლემების მოგვარების მიზნით მიღებული გადაწყვეტილებები ჩართოს სკოლის სასწავლო პროგრამაში. საზოგადოებასთან თანამშრომლობის მიმართულებით, ჩვენ გთავაზობთ, რომ გამოყოთ თქვენი სკოლისთვის რელევანტური ჯგუფები თუ ორგანიზაციები და მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ერთად შეიმუშაოთ თითოეულ მათგანთან თანამშრომლობის მიზნები, პოლიტიკა და პროცედურები.

მონაწილეობის კიბე:
ეცადე, იყო გულახდილი!

კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მონაწილეობა მაშინ არის ღირებული, როდესაც იგი გულახდილობას ეფუძნება.

სოციოლოგი როჯერ ჰარტი არის ავტორი ნაშრომის „ბავშვთა მონაწილეობა: ახალგაზრდა მოქალაქეების ჩართვა საზოგადოების განვითარებისა და გარემოს დაცვის ინიციატივაში, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) 1997 წ. — თეორია და პრაქტიკა“. ამ ნაშრომში აღწერილი მიდგომა იქცა მსოფლიოში ახალგაზრდებისა და მათ მოკავშირეთა გლობალური მოძრაობის სტიმულად, რომელიც ახალგაზრდების ჩართულობისა და მონაწილეობის ხელშეწყობას ემსახურება. ეს კონცეფცია გთავაზობთ, ნათლად დაინახოთ, რამდენად უწყობთ ხელს გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ბავშვებისა და ახალგაზრდების მონაწილეობასა და ჩართულობას. აღმოჩნდა რომ, ძალიან ხშირად, ბავშვებს სცენაზე, ღონისძიების ფარგლებში გამართული შეხვედრებისას თუ თეატრალურ წარმოდგენებში ერთგვარი დეკორაციების სახით ვიყენებთ ან, მაქსიმუმ, ამ უმცირესობათა ჩართვა პროცესებში სიმბოლურად სიმბოლურად ხდება, როგორც ავტორი გვეუბნება — სინდისის დასამშვიდებლად.

გთავაზობთ მონაწილეობის კიბეს, რომელიც, თქვენი სკოლის საჭიროებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლოა, მოსწავლეთა მონაწილეობის პოლიტიკის დოკუმენტის საფუძვლად აქციოთ.

> **საზოგადოებასთან თანამშრომლობის მიმართულებით, ჩვენ გთავაზობთ, რომ გამოყოთ თქვენი სკოლისთვის რელევანტური ჯგუფები თუ ორგანიზაციები და მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ერთად შეიმუშაოთ თითოეულ მათგანთან თანამშრომლობის მიზნები, პოლიტიკა და პროცედურები.**

მოსწავლეები ახდენენ საჭიროების იდენტიფიცირებას ან ადგენენ გეგმას. ისინი არწმუნებენ უფროსებს, რომ საჭიროა მათი მხარდაჭერა ან დაფინანსება. მოსწავლეები და უფროსები ერთად იღებენ გადაწყვეტილებას და ახორციელებენ მას.	8	მოსწავლეების მიერ ინიცირება, გადაწყვეტილებების გაზიარება უფროსებისთვის
მოსწავლეებს აქვთ იდეა და აჟღერებენ მას. ისინი თავად იღებენ ინიციატივას და თავად ახორციელებენ საკუთარ გეგმებს.	7	მოსწავლეების მიერ ინიცირება და მართვა
იგეგმება სკოლაში ეზოს კეთილმოწყობა. მოსწავლეებს ეკითხებიან აზრს და მათ, ასევე, შეუძლიათ გადაწყვეტილება მიიღონ რამდენიმე დეტალთან დაკავშირებით.	6	უფროსების მიერ ინიცირება, გადაწყვეტილებების გაზიარება მოსწავლეებისთვის
გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე, მოსწავლეებისგან რჩევას იღებენ უფროსები. უფროსები ითვალისწინებენ მათ მოსაზრებებსა და შემოთავაზებებს.	5	მოსწავლეებს უთანხმდებიან და აწვდიან ინფორმაციას
საზოგადოებრივი სამუშაოს შესასრულებლად ორგანიზებულია მოსწავლეთა ჯგუფი, რომელთაც არ ეკითხებიან, სურთ თუ არა ამ სამუშაოს შესრულება, თუმცა ისინი ინფორმირებულნი არიან მიზნების შესახებ.	4	მოსწავლეებს ავალებენ რაიმეს შესრულებას და აწვდიან მათ ინფორმაციას
ხდება მოსწავლეების (მაგალითად, უმცირესობების წარმომადგენლების) შერჩევა და მათთვის შესაძლებლობის მიცემა, დაესწრონ ღონისძიებას, თუმცა მათ არ ეძლევათ აზრის გამოთქმის საშუალება და არც მომზადებულები არიან ამისთვის. მათი დასწრება ღონისძიებაზე პოლიტიკური კორექტულობის დემონსტრირებას ემსახურება.	3	სიმბოლიზმი: (უმცირესობათა) სიმბოლური ინტეგრაცია
მოსწავლეებს ამზადებენ ღონისძიებისთვის, სპეციალურ ფორმებში გამოწყობილი მოსწავლეები საზოგადოების წინაშე წარსდგებიან ხელში ყვავილებით ან დროშებით. ისინი ალამაზებენ უფროსების (ან შესაძლოა ბავშვთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილ) ღონისძიებას.	2	დეკორაცია: მოსწავლეებს იყენებენ
მოსწავლეები ორგანიზებულად მონაწილეობენ პოლიტიკურ დემონსტრაციაში, ხელში პოლიტიკური შინაარსის პლაკატებით. ისინი გამოწყობილი არიან პოლიტიკური პარტიის ან მოძრაობის სიმბოლურ ფერებში.	1	მანიპულაცია: მოსწავლეებს იყენებენ „ბოროტად“

მონაწილეობის ხარისხის შეფასება

სკოლის დირექტორები ხშირად აღნიშავენ კვლევის/საჭიროებების იდენტიფიცირების ინსტრუმენტების დეფიციტის შესახებ. ქვემოთ გიზიარებთ კითხვარებს, რომლებიც საშუალებას მოგცემთ, მართოთ თქვენს სკოლაში არსებული მონაწილეობითი პრაქტიკის მნიშვნელოვანი ასპექტების შეფასება და ანალიზი შემდეგი მიმართულებებით:

1. მოსწავლეების, მათი მშობლებისა და საზოგადოების ჩართულობა
2. მასწავლებლები და სკოლის ხელმძღვანელები (პრაქტიკა და თანამშრომლობა)
3. გადაწყვეტილების მიღება, კომუნიკაცია და ძალაუფლება
4. სკოლის გარემო, გამჭვირვალობა და ინიციატივა

მოცემული კითხვარების გამოყენება სხვადასხვაგვარად არის შესაძლებელი, თუმცა მიზანს, ყველა შემთხვევაში, წარმოადგენს სიტუაციის ანალიზი და სკოლაში მოქმედების დასაწყებად კონკრეტული სფეროს იდენტიფიცირება.

კითხვარებით სარგებლობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები:

ა) შეავსეთ ყველა კითხვარი თავად, როგორც სკოლის ხელმძღვანელმა და გააკეთეთ ანალიზი იმ ასპექტებისა და სფეროების გამოსავლენად, რომლებიც გამართულად მუშაობს ან რომლებიც დამატებით ძალისხმევასა და მხარდაჭერას საჭიროებს თქვენს სკოლაში.

ბ) სთხოვეთ სკოლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს კითხვარების შევსება და ერთად შეუდექით შედეგების ანალიზს. შეგიძლიათ მიმართოთ გამოკითხვის შედეგების განხილვის მიზნით შეხვედრის ორგანიზების ინიციატივით. ეცადეთ, გამოარკვიოთ, რომელ კითხვაზე პასუხი იყო თქვენთვის მოულოდნელი. შედეგების ანალიზი ემსახურება იმ ასპექტებისა და სფეროების გამოვლენას, რომლებიც პრიორიტეტულად უნდა იქნეს მიჩნეული, სკოლაში მონაწილეობითი პრაქტიკის დანერგვის თვალსაზრისით.

გ) კითხვარები ან კითხვარებში შესული ზოგიერთი კითხვა შეგიძლიათ გამოიყენოთ დაკვირვების წარმოებისას, რაც საშუალებას მოგცემთ, დეტალური ინფორმაცია მიიღოთ თქვენს სკოლასა და კლასებში არსებული პრაქტიკის შესახებ. კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, შეგიძლიათ, რეგულარულად აწარმოოთ ამგვარი დაკვირვება, სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვების მიზნით. საჭიროების არსებობისას, დაკვირვების შედეგები შეგიძლიათ გადაამოწმოთ სკოლის მასწავლებლებთან.

დ) კითხვარებიდან შეგიძლიათ შეარჩიოთ კონკრეტული სფეროები ან კითხვები და მასწავლებლებთან მსჯელობა დაიწყოთ ამ სფეროებსა თუ კითხვებზე, კონკრეტულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით.

> ხშირად მიეცით მშობლებს საშუალება, მოხალისეების რანგში ჩაერთონ სასკოლო პროცესებში, მაგალითად, მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ღონისძიებებში ან სხვადასხვაგვარი დახმარება გაუწიონ სკოლას. გაუჩინეთ თანამშრომლობის სურვილი, მიკუთვნებულობის განცდა და რწმენა, რომ მშობლებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში.

მონაწილეობის შესაძლებლობების შეფასება

	დიახ	ნაწილობრივ	არა	კომენტარი
მოსწავლეები: ჩვენს სკოლაში...				
... მოსწავლეები ჩართული არიან, სკოლის ფარგლებში, იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, რომლებიც ეხება სკოლის წესებს, პროგრამებს, ღონისძიებებს, ინფრასტრუქტურას, რეფორმებსა და ა.შ.				
... არსებობს მოსწავლეთა ინსტიტუციური სტრუქტურები და წარმომადგენლობითი ორგანოები, როგორიცაა, მოსწავლეთა პარლამენტი, სკოლის საბჭო, კლასის საბჭო, თვითმმართველობა და ა.შ.				
მოსწავლეები: გაკვეთილზე... (შენიშვნა: თუ თქვენ ბრძანდებით მასწავლებელი, უპასუხეთ მხოლოდ თქვენი პედაგოგიური გამოცდილების გათვალისწინებით)				
... მოსწავლეები ცალკე საგნის ფარგლებში სწავლობენ დემოკრატიას, მონაწილეობას, ჩართულობას.				
... მოსწავლეები პრაქტიკის საფუძველზე ეუფლებიან დემოკრატიას.				
... მოსწავლეებს შეუძლიათ უკუკავშირის დამყარება.				
... მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ, თავად აირჩიონ, რა დროს რა ტიპის აქტივობით დაკავდნენ.				
... მოსწავლეებს შეუძლიათ, აირჩიონ, სად სურთ მუშაობა (რომელ საკლასო ოთახში, ან საკლასო ოთახის რა ნაწილში).				
... მოსწავლეებს შეუძლიათ, აირჩიონ, ვისთან ერთად სურთ მუშაობა.				
... მასწავლებლები მოსწავლეებს ისეთი ამოცანების შესრულებას ავალებენ, რომლებიც შესაძლებელია სხვადასხვა გზით იქნეს გადაჭრილი.				
... მასწავლებლები მოსწავლეებს ისეთი ამოცანების შესრულებას ავალებენ, რომლებსაც შესაძლებელია სხვადასხვა პასუხი ჰქონდეს.				
... მოსწავლეები მონაწილეობენ წესების შემუშავებაში.				
... მოსწავლეებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ.				
... მასწავლებლები შესაძლებლობას აძლევენ მოსწავლეებს, აწარმოონ თვითშეფასება.				

	დიახ	ნაწილობრივ	არა	კომენტარი
... მოსწავლეები ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას იმის თაობზე, თუ რატომ იღებენ ისინი ამა თუ იმ შეფასებას.				
მშობლები				
მშობლებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია მათი შვილების აკადემიური მოსწრების შესახებ.				
მშობლებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია სკოლის პროგრამების შესახებ.				
მშობლებს სკოლა მიმართავს წინადადებით, ითანამშრომლონ სკოლასთან, როგორც მოხალისეებმა და დაეხმარონ სკოლას რიგი საკითხების მოგვარებაში.				
მშობლები ინფორმირებული არიან იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დაეხმარონ საკუთარ შვილებს, სკოლაში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიმართულებით.				
სკოლა საშუალებას აძლევს მოსწავლეების მშობლებს, მონაწილეობა მიიღონ სკოლის ფარგლებში ისეთი გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, როგორიცაა სკოლის წესები, პროგრამები, ღონისძიებები, რეფორმები და ა.შ.				
სკოლაში არსებობს მშობელთა ინსტიტუციური წარმომადგენლობითი ორგანოები, მაგალითად, როგორიცაა, მშობელთა საბჭო.				

მასწავლებლებისა და საზოგადოების ჩართულობის შეფასება

	დიახ	ნაწილობრივ	არა	კომენტარი
სკოლის ხელმძღვანელი და მასწავლებლები				
ჩვენს სკოლაში გამოყოფილია დრო იმისათვის, რომ მასწავლებლებმა ერთობლივად იმუშაონ რეგულარულად, მაგალითად, შექმნილია მასწავლებელთა სამუშაო ჯგუფები.				
სკოლაში ჩვენს მუშაობას საფუძვლად უდევს საერთო ღირებულებები და საერთო ხედვა.				
სკოლის კოლექტივის წევრებს შორის მაღალია ნდობის ხარისხი.				
(შენიშვნა: თუ თქვენ ბრძანდებით მასწავლებელი, უპასუხეთ მხოლოდ თქვენი პედაგოგიური გამოცდილების გათვალისწინებით)				
მასწავლებლები სარგებლობენ თავისუფლებით, მიიღონ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ როგორ იმუშაონ.				
მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ ცოდნას, გამოცდილებასა და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს.				
მასწავლებლები ძალისხმევას არ იშურებენ იმისთვის, რომ სათანადო განათლება მიაღებინონ მოსწავლეებს, რომლებიც (კულტურული თვალსაზრისით, გონებრივი თუ ფიზიკური განვითარების თვალსაზრისით) არაპრივილიგირებულ ჯგუფებს განეკუთვნებიან.				
მასწავლებლების ძალისხმევა მიმართულია იმისკენ, რომ მათი სწავლების პრაქტიკა მაქსიმალურად ესადაგებოდეს და აკმაყოფილებდეს მოსწავლეების საჭიროებებს.				
მასწავლებლებს მუდმივად აქვთ ერთმანეთთან კომუნიკაცია.				
მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას, საკუთარ მოსაზრებებს, გამოცდილებას, ცოდნას, სასწავლო მასალებსა და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს.				
მასწავლებლები აკვირდებიან სხვა მასწავლებლების მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს და უკუკავშირს ამყარებენ ერთმანეთთან.				

	დიახ	ნაწილობრივ	არა	კომენტარი
მასწავლებლები მუშაობენ საკუთარ კოლეგებთან ერთად, გაკვეთილის მომზადების ან ახალი იდეის დანერგვის მიზნით.				
მასწავლებლები ერთმანეთთან ათანხმებენ სასწავლო მასალას, ტესტებსა და შეფასების კრიტერიუმებს.				
საზოგადოება				
ჩვენი სკოლა თანამშრომლობს ფართო საზოგადოებასთან, მოსწავლეებისათვის დამატებითი მომსახურების შეთავაზების მიზნით.				
ჩვენი სკოლა თანამშრომლობს ფართო საზოგადოებასთან, რათა სასწავლო პროგრამები რაც შეიძლება უკეთ იყოს მორგებული საზოგადოების საჭიროებებზე.				

სკოლის გარემოს, გამჭვირვალობისა და ინიციატივის თვალსაზრისით არსებული სიტუაციის შეფასება

	დიახ	ნაწილობრივ	არა	კომენტარი
სკოლის გარემო				
ჩვენს სკოლაში მოსწავლეები თავს კომფორტულად გრძნობენ.				
ჩვენს სკოლაში მოსწავლეები თავს უსაფრთხოდ გრძნობენ.				
ჩვენს სკოლაში მოსწავლეები გრძნობენ, რომ მათ პატივს სცემენ.				
ჩვენს სკოლაში მასწავლებლები თავს კომფორტულად გრძნობენ.				
ჩვენს სკოლაში მასწავლებლები თავს უსაფრთხოდ გრძნობენ.				
ჩვენს სკოლაში მასწავლებლები გრძნობენ, რომ მათ პატივს სცემენ.				
ჩვენს სკოლაში კეთილგანწყობილი და სათანადო გარემოა შექმნილი.				
ჩვენს სკოლაში დამკვიდრებულია კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების პრაქტიკა.				

	დიახ	ნაწილობრივ	არა	კომენტარი
გამჭვირვალობა				
სკოლის ხელმძღვანელი ინფორმაციას აწვდის სკოლის კოლექტივს და უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.				
სკოლის ხელმძღვანელი ნათლად განუმარტავს სკოლის მასწავლებლებს კანონებს, რეგულაციებს, აცნობს მათ არსებულ მოლოდინებსა და შესაძლებლობებს.				
სკოლის ხელმძღვანელი გულახდილად და ღიად უზიარებს სკოლის მასწავლებლებს საკუთარ შეხედულებებსა და მოსაზრებებს.				
სკოლის ხელმძღვანელი რეგულარულად აწვდის სკოლის კოლექტივს ინფორმაციას სკოლაში არსებულ ვითარებაზე, მომხდარ ფაქტებზე, მიმდინარე პროცესებზე და სკოლასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე.				
ინიციატივის თვალსაზრისით არსებული სიტუაცია				
სკოლაში როგორც მასწავლებლები, ასევე, მოსწავლეები სარგებლობენ ხელშეწყობით, რათა მათ თავისუფლად წამოაყენონ საკუთარი იდეები და მოსაზრებები და პრაქტიკაში დანერგონ ისინი.				
სკოლაში მუდმივად ხდება შემოქმედებითი აზროვნებისა და ინოვაციური წინადადებების ხელშეწყობა და წახალისება.				

სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების, კომუნიკაციისა და ძალაუფლების თვალსაზრისით არსებული სიტუაციის შეფასება

	დიახ	ნაწილობრივ	არა	კომენტარი
სკოლაში გადაწყვეტილების მიღების დროს...				
...სკოლის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს ყველა იმ პირის ჩართულობას (მასწავლებლების, მოსწავლეების, მოსწავლეთა მშობლების), რომლებსაც ეხებათ აღნიშნული გადაწყვეტილება.				
...სკოლა უზრუნველყოფს მოწყვლადი და მარგინალიზებული პირების წახალისებასა და ხელშეწყობას, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.				

	დიახ	ნაწილობრივ	არა	კომენტარი
...სკოლის კოლექტივის წევრები ერთმანეთს აქტიურად უსმენენ და ცდილობენ, გაუგონ ერთმანეთს.				
...სკოლის კოლექტივის წევრები ერთმანეთის დარწმუნებას ცდილობენ ლოგიკური და გასაგები არგუმენტებით.				
...სკოლის კოლექტივის წევრები თავისუფლად და ღიად სვამენ კითხვებს და, ასევე, ღიად პასუხობენ მათ მიმართ დასმულ კითხვებს.				
...სკოლის კოლექტივის წევრები გულწრფელად გამოთქვამენ და განმარტავენ საკუთარ დამოკიდებულებებს, ვარაუდებსა და გრძნობებს.				
...ხდება დაინტერესებულ მხარეთა განსხვავებული ხედვებისა თუ მოსაზრებების გათვალისწინება.				
...ვცდილობთ, გამოვნახოთ საერთო საფუძველი და მივაღწიოთ თანხმობას.				
როდესაც სკოლის ხელმძღვანელი ახდენს შესასრულებელი ამოცანებისა და ფუნქციების განაწილებას სკოლის კოლექტივის წევრებს შორის, გათვალისწინებულია მათი ინტერესები და კომპეტენციები, რომლებსაც ისინი ფლობენ.				
ჩვენს სკოლაში				
...უკუკავშირის მიწოდება მიღებული და დამკვიდრებული პრაქტიკაა.				
...წერილობითი ფორმით არსებობს რეგულაციები, რომლებიც სკოლაში დემოკრატიული სტრუქტურებისა და პროცესების დანერგვასა და დამკვიდრებას ემსახურება.				
... გამოყოფილია დრო სათათბიროდ და მსჯელობისათვის, ყველასთვის მისაღები გადაწყვეტილებების მიღების მიზნით.				
...სკოლის ხელმძღვანელი მუდმივად დიალოგში იმყოფება სკოლის პერსონალთან.				
...გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობს ყველა პირი (ან ადამიანების ჯგუფი), რომელსაც აღნიშნული გადაწყვეტილება ეხება.				

	დიახ	ნაწილობრივ	არა	კომენტარი
...ადამიანებს რეგულარულად აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში (ხელის აწევით, სასურველი პასუხის შემოხაზვით და ა.შ.).				
...არიან არჩეული წარმომადგენლები, რომლებიც მოქმედებენ ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფის ინტერესების დასაცავად.				
...სკოლის ხელმძღვანელი ნათლად და გასაგებად ხსნის საჯარო ხელისუფლების მიერ მიღებული მოქმედი კანონებითა და რეგულაციებით დაწესებულ შეზღუდვებსა და მათ მიერ შექმნილ შესაძლებლობებს.				
ძალაუფლება				
სკოლის ხელმძღვანელი მხარს უჭერს დემოკრატიული გზით მიღებულ გადაწყვეტილებებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს გადაწყვეტილებები არ ესადაგება მის პიროვნულ ინტერესებს.				
სკოლის ხელმძღვანელი იღებს კონსტრუქციულ კრიტიკას.				
სკოლის ხელმძღვანელი სხვებთან ერთად იზიარებს პასუხისმგებლობას.				
ჩვენს სკოლაში ყველა თანაბრად ვართ ანგარიშვალდებული წარმატებასა და წარუმატებლობაზეც.				

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის საშუალებით წარმოებული კვლევა, უკუკავშირი, შეფასება – მეთოდები

გსურთ, შეიტყოთ სხვების მოსაზრებები რაიმე თემასთან დაკავშირებით, ან უფრო დეტალური ინფორმაცია მიიღოთ ადამიანებისგან? გსურთ, რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა მიიღოს მონაწილეობა თქვენი სკოლის პრიორიტეტების განსაზღვრაში?

ამ შემთხვევაში, შეგიძლიათ თავად შეადგინოთ კითხვარი და მისი საშუალებით აწარმოოთ გამოკითხვა. გაფრთხილდით, რომ ყურადღების მიღმა არ დაგრჩეთ ინფორმაცია, რომლის მოპოვებასაც ამგვარი გამოკითხვით ცდილობთ. ინტერნეტში შეგიძლიათ მოიძიოთ უამრავი რჩევა იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეკითხვები უნდა შეიტანოთ კითხვარში, რომლის მიზანიც არის უკუკავშირის მიღება, შეფასება, მოსაზრებების შეგროვება და ა.შ.

კითხვარში შეგიძლიათ სხვადასხვა ტიპის შეკითხვები გამოიყენოთ, მაგალითად:

1. ღია შეკითხვები: რომლებსაც ადამიანები თავიანთი სიტყვებით პასუხობენ;
2. დახურული შეკითხვები: რომელთა შემთხვევაშიც, ადამიანებმა არჩევანი უნდა გააკეთონ იმ პასუხებიდან, რომლებიც შეკითხვის შემდეგ არის მოცემული.

შეეცადეთ, კითხვარი იყოს რაც შეიძლება მცირე მოცულობის (მაქსიმუმ, 4 გვერდი) და შეკითხვები იყოს შინაარსობრივად დაჯგუფებული. წინასწარ განსაზღვრეთ, რა მიზნით იქნება გამოყენებული ამგვარი გამოკითხვის შედეგები.

ონლაინგამოკითხვა შედეგების ყველაზე ეფექტურად ანალიზის საშუალებას გაძლევთ. თქვენ შედეგებს ავტომატურად და დაუყოვნებლივ იღებთ, მას შემდეგ, რაც რესპონდენტები კითხვარის შევსებას დაასრულებენ. მაგალითად, „Google form“ გთავაზობთ უფასო და მარტივ ონლაინინსტრუმენტს, რომელიც ამ ამოცანის შესრულებაში დაგეხმარებათ.



როგორ და რამდენად ვმონაწილეობთ პროექტებში?
ჩვენ გვაქვს გეგმა
უფროსები გადაწყვეტილებას ჩვენთან ერთად იღებენ და ჩვენთან ერთად მუშაობენ
გადაწყვეტილებას ვიღებთ ჩვენ და ჩვენვე ვასრულებთ მას
ჩვენ მათთან ერთად ვიღებთ გადაწყვეტილებას
ისინი ჩვენ გვისმენენ და ინფორმაციას გვაწვდიან
ისინი ჩვენ ინფორმაციას გვაწვდიან და გვეუბნებიან, რა უნდა გავაკეთოთ
ისინი ზოგიერთ ჩვენგანს ირჩევენ და გვეუბნებიან, რომ გავაკეთოთ ის, რაც მათ გადაწყვიტეს
ჩვენ ბედნიერი დეკორაციების როლს ვთამაშობთ
ისინი ჩვენ გვიყენებენ იმისთვის, რომ თავად კარგად გამოიყურებოდნენ
გეგმას ჩვენ შევიმუშავებთ
გეგმას უფროსები შეიმუშავებენ
როცა უფროსები აღნიშნავენ რაიმეს (რაც ჩვენ გვეხება)
როცა უფროსები რაიმეს აღნიშნავენ

ხუთეტაპიანი პროცესი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად

ქვემოთ მოცემული ხუთეტაპიანი პროცედურა წარმოადგენს მონაწილეობითი კულტურის (წყარო: Fung, 2004) ილუსტრაციას, რომელიც თქვენ შეგიძლიათ თქვენს სკოლაში გამოიყენოთ. აღნიშნულ პროცესში შეგიძლიათ ჩართოთ სკოლის პერსონალი და, აგრეთვე, მოსწავლეებიც, მათი მშობლებიც და სხვა პირები, რომლებსაც ეხებათ ის გადაწყვეტილება, რომლის მიღებასაც გეგმავთ.

1. **დღის წესრიგის დადგენა (საკითხის იდენტიფიცირება):** განსახილველი საკითხი შესაძლებელია:
   - ა) ეხებოდეს სკოლის ადმინისტრაციის მიერ მიღებულ კანონებს ან რეგულაციებს;
   - ბ) ეხებოდეს მიმდინარე კვლევას ან სკოლაში არსებულ აქტუალურ თემას ან პრობლემას;
   - გ) ან წარმოადგენდეს საკითხს, რომელზეც შედგა ერთობლივი შეთანხმება.

2. **მსჯელობა და წინადადებები:** საკითხის მოგვარების ალტერნატიული გზების, სტრატეგიებისა და მასთან დაკავშირებული წინადადებების შემოთავაზება, დასაბუთება და განხილვა; აღნიშნული ეტაპის შედეგად, დგება სამოქმედო გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:
   - ა) კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა გატარდეს;
   - ბ) ღონისძიების გატარების ვალდებულებების განაწილებას;
   - გ) პროგნოზს იმასთან დაკავშირებით, თუ რა შედეგს გამოიღებს აღნიშნული ღონისძიების გატარება, საკითხის მოგვარების მიმართულებით და
   - დ) ღონისძიების სათანადოდ ჩატარებისა და სასურველი შედეგის შეფასების მეთოდს.

3. **მოქმედება:** პროცესში მონაწილე პირები უზრუნველყოფენ ღონისძიების ჩატარებას / ქმედების განხორციელებას სამოქმედო გეგმის მიხედვით.

4. **შეფასება:** მას შემდეგ, რაც ღონისძიება გატარებული იქნება, პროცესში მონაწილე პირები განიხილავენ პროცესის მსვლელობას. მოცემული პროცესის არც პირველი ეტაპის და არც მე-2 და მე-3 ეტაპების შედეგები არ არის სასურველი შედეგის მიღების გარანტი – რეგულაციის მიღება თუ პრობლემის გადაჭრა, საკითხის მოგვარება თუ კითხვაზე პასუხი. მე-2 ეტაპზე ხდება ერთობლივად შემუშავებული ღონისძიებების მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა, ხოლო მე-3 ეტაპი გულისხმობს ამ ღონისძიების ეფექტურობის გამოცდას. შეფასება იძლევა ინფორმაციას ღონისძიების ეფექტურობის თაობაზე.

5. **შედეგი:** შეფასების შედეგების საფუძველზე, პროცესი შესაძლებელია შეწყდეს ან დაიწყოს თავიდან. საჭიროების შემთხვევაში, ხდება ყველა აღმოჩენილი პრობლემისა და გამოყენებული სტრატეგიის ხელახლა შეფასება, უკეთესი შედეგების მისაღებად.

მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქართველოში

სკოლის დირექტორების მოსაზრებები და გამოცდილებები

მაია არავიაშვილი
სოციოლოგიის დოქტორი,
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრის
ანალიტიკური სამსახურის უფროსი

ბოლო წლებში განათლების რეფორმებმა მოქალაქეობრივი ცნობიერება სკოლის კურიკულუმის ცენტრში მოაქცია. საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც ევროპის საბჭოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს ინტეგრირება მოახდინა საკუთარ ეროვნულ სასწავლო გეგმაში. აღნიშნული ჩარჩოსა და დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ ევროპის საბჭოს ქარტიის (რომელსაც ეფუძნება თავად ჩარჩო) სკოლებში დანერგვის ხელშესაწყობად, განხორციელდა საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტები. გამოქვეყნდა მასწავლებლის ახალი სახელმძღვანელოები და სასწავლო რესურსები, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ ევროპის საბჭოს ძირითადი ტექსტების თარგმანთან ერთად. ყოველივე ეს, ცხადია აქტიური მოქალაქეების გაზრდას და გადაწყვეტილების პროცესებში მოსწავლეების ჩართულობის ხელშეწყობას ემსახურება.

ახალგაზრდებში კიდევ ბევრი სამუშაოა გასაწევი. ცნობიერების ამაღლებისთვის განკუთვნილი ღონისძიებები გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ახალგაზრდებისთვის იმის გასაცნობიერებლად, რომ სამოქალაქო ჩართულობა მნიშვნელოვანია ქართული დემოკრატიის სრულყოფისათვის. ამ მიზნით, ევროპის საბჭომ საქართველოში დაიწყო ახალი პროექტი **დემოკრატია იწყება სკოლაში – მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში სკოლასა და ადგილობრივ თემში**, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა, შეეფასებინა სკოლების დემოკრატიული მმართველობის არსებული მდგომარეობა საქართველოში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსწავლეთა მონაწილეობის თვალსაზრისით.

აღნიშნული კვლევის ფარგლებში, მონაცემები შეგროვდა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფიდან, მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით. ამ შემთხვევაში გთავაზობთ სკოლის დირექტორების ფოკუს-ჯგუფების შედეგებს.

კვლევის შედეგები სასკოლო ცხოვრების 9 სხვადასხვა ასპექტს მოიცავს: სასკოლო კლიმატი, ლიდერობა და მართვა, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, კურიკულუმი, სწავლა და სწავლება, სამოქალაქო განათლება, კლასგარეშე აქტივობები და პროფესიული განვითარება.

გთავაზობთ კვლევის შედეგებს თითოეული მიმართულებისათვის:

სასკოლო კლიმატი

დადებითი სასკოლო კლიმატი მოსწავლის მონაწილეობის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. დადებითი სასკოლო კლიმატი არის გარემო, სადაც ადამიანი:

- თავს გრძნობს ჩართულად;
- თავს გრძნობს უსაფრთხოდ;
- გრძნობს, რომ მისი ესმით;
- გრძნობს, რომ პატივს სცემენ, როგორც ინდივიდს;
- ყველა მუშაობს ერთობლივად;
- ყველას სამართლიანად ეპყრობიან;
- მშობლებისა და სხვა ვიზიტორების მიღება მისასალმებელია.

სასკოლო კლიმატის თვალსაზრისით, გამოკითხულმა სკოლების დირექტორებმა ისაუბრეს იმაზე, თუ როგორ ცდილობენ ისინი პოლიტიკის არსებული ჩარჩოს მაქსიმალურად გამოყენებასა და სათანადო სასკოლო გარემოს შექმნას. ხაზი გაესვა ორ მნიშვნელოვან საკითხს. ესენია:

- თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების ფარგლებში, განსაკუთრებით, მასწავლებლებს შორის;
- სკოლის ადმინისტრაციის მიერ ახალი იდეების და მიდგომების ღიად მიღება.

ამონარიდი ციტატები ფოკუს-ჯგუფიდან:

მე მყავს გუნდი, რომელიც ძალიან კარგად თანამშრომლობს, ყველა მათგანი ორიენტირებულია ერთმანეთის წარმატებაზე. მყავს 20 მასწავლებელი, 9 წამყვანი მასწავლებელი, 1 მენტორი. სკოლაში თუ მოხვალთ, ნახავთ, რომ ისინი ერთობლივად მუშაობენ, მე სწორედ ჩემი გახსნილობით, კონფლიქტური სიტუაციების თავიდან აცილებითა და სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციით მივაღწიე თანამშრომლობით კულტურას. [სკოლის დირექტორი]

თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, მე ვუსმენ ყველას: მშობლებს, მასწავლებლებს და მოსწავლეებს. საჭიროებიდან გამომდინარე, ყოველთვის გახსნილი ვარ და მზად ვარ ნებისმიერი ტიპისა და სირთულის პრობლემის განსახილველად, გადაწყვეტილების მიღებაში ვრთავ უმრავლესობას, ნაცვლად იმისა, რომ ერთპიროვნულად მივიღო გადაწყვეტილება. [სკოლის დირექტორი]

ის მომენტი, როდესაც მოსწავლე ხედავს, რომ მისი მასწავლებლები არ თანამშრომლობენ ... არსებობს ბევრი შემთხვევა, დარწმუნებული ვარ, თითოეულმა ჩვენგანმა იცის ბევრი ასეთი სკოლა, და როდესაც მოსწავლე ხედავს, რომ მისი მასწავლებლები არ თანამშრომლობენ, ფაქტობრივად, ჩვენ პირდაპირ მინიშნებას ვაძლევთ მოსწავლეებს, რომ არ არიან ვალდებულნი, ითანამშრომლონ და მონაწილეობა მიიღონ. [სკოლის დირექტორი]

ზოგჯერ არსებობს ისეთი ინიციატივა, რომელიც მოიცავს გარკვეულ რისკს და ჩვენ ყოველთვის ერთობლივად

> სწორედ ამ პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა, შეეფასებინა სკოლების დემოკრატიული მმართველობის არსებული მდგომარეობა საქართველოში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსწავლეთა მონაწილეობის თვალსაზრისით.

> გამოკითხულ დირექტორებს სჯერათ, რომ სკოლის მართვაში მნიშვნელოვანია არა ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღება, არამედ ამ პროცესში მასწავლებლებისა და მოსწავლეების ჩართვა; ინიციატივებისა და შეთავაზებების მოსმენა; ამავდროულად, მასწავლებლებისა და სასკოლო საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება და გადაწყვეტილების გაცნობა დოკუმენტებისა და განხილვის საშუალებით.

ვწყვეტთ, სწორ გზას ვადგავართ თუ არა, რა შედეგს მოგვიტანს ის, ხოლო შემდეგ ერთად ვიღებთ გადაწყვეტილებას. [...] თუმცა, ზოგჯერ არის ისეთი სიტუაცია, როდესაც მეც შეზღუდული ვარ, არ ვარ ამდენად დეცენტრალიზებული, ე.ი. თავისუფალი ჩემს გადაწყვეტილებებში. [სკოლის დირექტორი]

მართალია, ჩვენ შორს ვართ იდეალურისგან, მაგრამ იმ გადმოსახედიდან, სადაც ვიყავი, როგორც დავიწყე და სად ვარ ახლა, დიდი ნახტომი გავაკეთეთ, რადგან ხორციელდება პროექტები მშობლების ჩართულობით. [სკოლის დირექტორი]

სკოლის დირექტორთა დამოკიდებულებები სასკოლო კლიმატთან დაკავშირებულ საკითხებთან განსხვავებულია. ზოგიერთი დირექტორისთვის დადებითი სასკოლო კლიმატი ფუნდამენტური საკითხია და სკოლის განვითარების საფუძველს წარმოადგენს. სკოლასთან დაკავშირებით მათი ხედვისათვის უმნიშვნელოვანესია მოსწავლეების მოსმენა და მათი ჩართვა სკოლის პოლიტიკასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში.

ლიდერობა და მართვა

მოსწავლეთა ჩართულობისთვის უმნიშვნელოვანესია სკოლის ლიდერობის მიმართულებით არსებული პოლიტიკა. სკოლის დირექტორები პასუხისმგებელნი არიან არა მხოლოდ ისეთი სასკოლო კლიმატის შექმნაზე, სადაც მოსწავლეთა მონაწილეობა წარმატებით ვითარდება, არამედ ისეთი ინსტიტუციური სტრუქტურებისა და პროცედურების ერთობლიობის შექმნაზე, რომელიც ამას შესაძლებელს გახდის, ასევე, ისეთი მართვის სისტემისა, რომელიც შეძლებს მისი ხარისხის მონიტორინგსა და შეფასებას და მისი მდგრადობის უზრუნველყოფას.

გამოკითხულ დირექტორებს სჯერათ, რომ სკოლის მართვაში მნიშვნელოვანია არა ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღება, არამედ ამ პროცესში მასწავლებლებისა და მოსწავლეების ჩართვა; ინიციატივებისა და შეთავაზებების მოსმენა; ამავდროულად, მასწავლებლებისა და სასკოლო საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება და გადაწყვეტილების გაცნობა დოკუმენტებისა და განხილვის საშუალებით.

დირექტორები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმასთან დაკავშირებით, რომ არ ჰყავთ მოადგილე. ამბობენ, რომ ეს მათ სკოლის მართვას ურთულებს. იმ სკოლებს, რომელთაც დიდი რაოდენობით მოსწავლე ჰყავთ, შეუძლიათ მოადგილის ყოლა, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი გაურკვეველი რჩება მოადგილის მოვალეობები და პასუხისმგებლობები.

ამონარიდი ციტატები ფოკუს-ჯგუფებიდან:

მაქსიმალურად ვცდილობ, მივიღო ინიციატივა ნებისმიერი მხარისგან, რა თქმა უნდა, ვუსმენ, კარგად ვიაზრებ და გადაწყვეტილებას ვიღებ ამ თვალთახედვიდან. ზოგჯერ არსებობს ისეთი ინიციატივა, რომელიც გარკვეულ რისკებს მოიცავს და ჩვენ ყოველთვის ერთობლივად ვწყვეტთ, სწორ გზას ვადგავართ თუ არა, რა შედეგს მოგვიტანს ის და მერე ერთად ვიღებთ გადაწყვეტილებას. [სკოლის დირექტორი]

აუცილებლად გავაკეთებ ანალიზს იმისა, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას განსახორციელებლად ... ამას მივყავარ თანამშრომლობამდე, რათა არ გახდეს აგრესიის მიზეზი. [სკოლის დირექტორი]

სკოლა უნდა იყოს ღია ... ორიენტირებული მოსწავლეთა საჭიროებებზე

... [ჩვენ] უნდა მოვუსმინოთ მოსწავლეებს ... მხარი დავუჭიროთ მათ საკუთარი იდეების განხორციელებაში. [სკოლის დირექტორი]

წლის დასაწყისში გვაქვს განხილვები მოსწავლეებთან ... ფოკუს-ჯგუფები ... კვლევები, კითხვარები ... მასწავლებლებთან შეხვედრები ... მოსწავლეთა თვითმმართველობის საშუალებით. [სკოლის დირექტორი]

სამეურვეო საბჭო

სამეურვეო საბჭო წარმოადგენს ოფიციალური გადაწყვეტილების მიღების უმაღლეს ინსტანციას სკოლის მმართველობაში. მისი როლი უფრო სტრატეგიულია, ვიდრე ოპერატიული. ზოგადად, ის არ არის ჩართული სკოლის ყოველდღიურ მართვაში. ის არსებობს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს სკოლის ეფექტიან და ეფექტურ მართვას, რათა ბავშვებს მიეცეთ შეძლებისდაგვარად საუკეთესო განათლების მიღების საშუალება. ამისათვის, სამეურვეო საბჭო, მათ შორის, უზრუნველყოფს:

- სკოლის სტრატეგიული მიმართულების დაგეგმვას;
- ფინანსური მდგომარეობის ზედამხედველობას და იმის უზრუნველყოფას, რომ რესურსი სათანადოდ დაიხარჯოს;
- სკოლის დირექტორისა და სკოლის ლიდერობის ანგარიშვალდებულებას;
- სკოლის გაუმჯობესებას.[1]

სკოლის სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრაში დახმარებისას, მნიშვნელოვანია, თუ რა დამოკიდებულებას მიმართავს სამეურვეო საბჭო მოსწავლის მონაწილეობასთან დაკავშირებით.

გამოკითხული სკოლის დირექტორებიც კი სამეურვეო საბჭოს თვლიან ფორმალობად, რომელსაც შეზღუდული ფუნქციები აქვს. ზოგადად, სამეურვეო საბჭოების წევრებმა არ იციან და ვერ აცნობიერებენ, თუ რა ფუნქციები აკისრიათ. ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ხშირად სამეურვეო საბჭოს წევრებს არ გააჩნიათ გამოცდილება ან საჯარო გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის ჩვევა.

ამონარიდი ციტატები ფოკუს-ჯგუფებიდან:

ყველა სკოლაში არის სამეურვეო საბჭო, მშობლებს თეორიულადაც და პრაქტიკულადაც უფლება აქვთ, ჭყავდეთ/აირჩიონ წარმომადგენელი. მე კონტაქტი მაქვს ბევრ სკოლასთან და მინდა აღვნიშნო, რომ ბევრ სკოლაში მშობელთა უმეტესობამ, სხვათა შორის, მასწავლებლებმაც კი, არ იციან როდის იკრიბება სამეურვეო საბჭო, ვინ არის მათი წარმომადგენელი... [სკოლის დირექტორი]

მინდა, სამეურვეო საბჭო ძალიან მნიშვნელოვანი იყოს. თუ ყოველთვის მე მომიწევს მათი გამოცოცხლება, როგორ შეიძლება სამეურვეო საბჭო იყოს ზემდგომი? [სკოლის დირექტორი]

მოსწავლეთა თვითმმართველობა

მოსწავლეთა თვითმმართველობა, როგორც წესი, წარმოადგენს ახალგაზრდებს, რომლებსაც საუკეთესო შესაძლებლობა აქვთ, სკოლის ცხოვრებას საკუთარი კვალი დაატყონ, იქნება ეს „სასკოლო საბჭოს", „მოსწავლეთა პარლამენტის" თუ მოსწავლეთა წარმომადგენლობითი ორგანოს სხვა რომელიმე ფორმით.

კარგად მართული მოსწავლეთა თვითმმართველობა:

> **საინტერესოა ის, რომ, სკოლის დირექტორების თვალსაზრისით, ეს ფორმალური განათლებისთვის უფრო დიდი გამოწვევაა, ვიდრე არაფორმალურისთვის, როგორიცაა, კლასგარეშე პროექტები და კლუბები.**

[1] https://governorsforschools.org.uk/news/what-do-school-governors-do-and-why-is-a-strong-board-so-important/

> ის მოსწავლეებს საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის საშუალებას აძლევს სკოლასა და საზოგადოებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებზე, არა მხოლოდ პროექტების საშუალებით, რომლებიც მიმართულია სკოლაში ან საზოგადოებაში არსებული რეალური პრობლემების გადაჭრისკენ, არამედ, ასევე, როლური თამაშების, სიმულაციების, სააზროვნო-ექსპერიმენტების ადა ჰიპოთეტური სიტუაციების განხილვის საშუალებით.

- უზრუნველყოფს მთელ რიგ შესაძლებლობებს მოსწავლეებისთვის, რომ ჰქონდეთ ხმის უფლება სკოლაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით;
- ეხმარება ახალგაზრდებს ცხოვრებაში საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში;
- ავითარებს დემოკრატიულ საზოგადოებაში ეფექტური მონაწილეობისთვის საჭირო კომპეტენციებს;
- ხელს უწყობს სიძულვილის ენით საუბრის, ბულინგისა და ძალადობის პრობლემის მოგვარებას და გენდერულ თანასწორობას;
- აუმჯობესებს სასკოლო გარემოს ხარისხს ყველა მისი დაინტერესებული მხარისთვის.

გამოკითხული სკოლის დირექტორები მიიჩნევენ, რომ მოსწავლეთა ჩართულობა თვითმმართველობაში ძალიან მნიშვნელოვანია. ეს განაპირობებს უფრო დაბალანსებულ სასკოლო საზოგადოებას. მათი სურვილია, მოსწავლეთა თვითმმართველობის ქსელს, კეთილსინდისიერი პრაქტიკის მაგალითის სახით, მხარდაჭერა გაუწიოს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID), USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში.

ამონარიდი ციტატები ფოკუს-ჯგუფებიდან:

ჩართული უნდა იყოს სკოლის მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი და იყოს სკოლასთან ერთად, მხოლოდ სკოლა ვერაფერს გააკეთებს, ჩვენ ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ და უნდა დავაბალანსოთ ის. [სკოლის დირექტორი]

საჯარო სკოლებში თვითმმართველობა შეიძლება იყოს ჩართული საზოგადოებაში. ეს მართვის სტილზეა დამოკიდებული. [საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის წარმომადგენელი]

მოსწავლეთა თვითმმართველობა არის სკოლის ცხოვრების კარგად ჩამოყალიბებული და მუდმივი მახასიათებელი საქართველოში. თუმცა მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების ეფექტურობა და მის საფუძველზე მიღებული გამოცდილების ხარისხი ახალგაზრდებისთვის განსხვავდება. ბევრი რამეა დამოკიდებული დირექტორისა და მასწავლებლების დამოკიდებულებებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონით დადგენილი ვალდებულებაა, მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოები ჯერაც არ არსებობს ბევრ სკოლაში. ზოგ სკოლაში მათ ისე უყურებენ, როგორც ფორმალობას და არა ვარჯიშს დემოკრატიის სწავლაში. მოსწავლეები, რომლებიც კმაყოფილები საუბრობენ მოსწავლეთა თვითმმართველობაზე საკუთარ სკოლებში, მის წარმატებას თითქმის ყოველთვის უკავშირებენ მხარდამჭერი დირექტორის ან მასწავლებლის არსებობას.

სასკოლო კურიკულუმი

თუ სასკოლო კურიკულუმი ორიენტირებულია ფაქტებზე, მოსწავლეებისთვის გადასაცემ სპეციალურ ცოდნაზე, ამგვარი კურიკულუმი დიდად არ უწყობს ხელს მოსწავლეთა მონაწილეობას, რამეთუ დიდწილად არის დამოკიდებული ფაქტებისა და ფორმულების დამახსოვრებაზე და სავარჯიშოების შესრულებაზე.

გამოკითხული სკოლის დირექტორები ამბობენ, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა უნდა იყოს საწყისი წერტილი მასწავლებელთათვის. ეს არის მთავარი დოკუმენტი, რომელიც კარნახობს იმ კომპეტენციებსა და უნარ-ჩვევებს, რომლებიც უნდა განივითაროს მოსწავლემ. ამავდროულად, მათ უნდა დაინახონ კავშირი დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოსა (RFCDC) და მათ კურიკულუმს შორის, და ის, თუ როგორ უნდა მოხდეს ამის ინტეგრირება სწავლისა და სწავლების ყოველდღიურ პროცესში.

ამონარიდი ციტატები ფოკუს-ჯგუფებიდან:

ვინაიდან ყველა მასწავლებელი ვალდებულია, მისი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, განავითაროს ეს კომპეტენციები მოსწავლისათვის, ჩემი აზრით, გაკვეთილის გეგმაში სადმე უნდა ჩანდეს, ასევე, კავშირი კონკრეტულ მასალასთან, კონკრეტულ გაკვეთილში, თუ სად უნდა მოხდეს ამ კომპეტენციების ჩამოყალიბება. [სკოლის დირექტორი]

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო ... ჩვენ არ ვიცოდით, როგორ უნდა მოგვეხდინა „მისი“ კომბინირება ეროვნულ სტანდარტებთან ... ეს უფრო მარტივია სოციალური მეცნიერებებისთვის ... ჩვენ ვატარებთ გამოკითხვას და ვიწყებთ გარკვეული კომპეტენციებით სემესტრისათვის ... წლის დასაწყისში კლასის ხელმძღვანელი ადგენს მთელი წლის გეგმას ... განსაზღვრავს ძირითად კომპეტენციებს ... შემდეგ პროექტები ორიენტირდება ამ კომპეტენციებზე ... აქტივობები დაფუძნებულია დესკრიპტორებზე ... წლის ბოლოს ყველა კლასი ატარებს პრეზენტაციას კომპეტენციებზე ... ამ წელს გვქონდა 6 კომპეტენცია: უნარჩვევებიდან და დამოკიდებულებებიდან ... უფრო მეტ სირთულეს ღირებულებების განვითარება წარმოადგენს. [სკოლის დირექტორი]

კლასში სწავლა და სწავლება

მოსწავლეთა მონაწილეობა სწავლა-სწავლების პროცესში მდგომარეობს კლასში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით მოსწავლეთათვის მეტი უფლებამოსილების მინიჭებაში. სწავლის პროცესში მოსწავლის ჩართვის ბევრი გზა არსებობს, მაგალითად, სადისკუსიო საკითხებისა და საშინაო დავალებების არჩევა, საკლასო ოთახის წესების შემუშავებაში დახმარება, კვლევისა და შეფასების მეთოდების შერჩევა, მერხების განლაგების დაგეგმვა, მორიგეობის გეგმის შედგენა, კლასში გამოსაფენი მასალის შექმნა, საკუთარი სწავლის მიზნების დასახვა, სხვა მოსწავლეების დახმარება სწავლაში, სწავლის შესახებ უკუკავშირი და ა.შ.

გამოკითხული სკოლის დირექტორები ფიქრობენ, რომ არსებითად მნიშვნელოვანია, მასწავლებლებს ესმოდეთ, რომ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სწავლება მხოლოდ სამოქალაქო განათლების საგანთან არ არის დაკავშირებული, არამედ, ზოგადად, ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას უკავშირდება. მნიშვნელოვანია, რომ მთელი სასკოლო საზოგადოება ჩაერთოს პროცესში, მათ შორის, მშობლებიც. საინტერესოა ის, რომ, სკოლის დირექტორების თვალსაზრისით, ეს ფორმალური განათლებისთვის უფრო დიდი გამოწვევაა, ვიდრე არაფორმალურისთვის, როგორიცაა, კლასგარეშე პროექტები და კლუბები.

ამონარიდი ციტატები ფოკუს-ჯგუფებიდან:

კლასში შესული ყველა მასწავლებლის ძირითადი როლი ერთია. ადრე იყო განსხვავება საგნის მიხედვით, საგნობრივ მიმართულებას არაფერი აქვს ამასთან საერთო, ყველა მასწავლებელი ერთდროულად არის ვალდებული, ასევე, სკოლაში დასაქმებული ყველა პირი და სკოლის საზოგადოება, რომ წვლილი შეიტანოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაში არა მხოლოდ საკლასო პროცესში, არამედ სკოლის შიგნით თუ გარეთ ჩატარებული აქტივობების დროსაც. ეს ხდება და ისინი შეძლებისდაგვარად ცდილობენ ამის გაკეთებას. [სკოლის დირექტორი]

მოსწავლეთა ჩართულობის თვალსაზრისით, მთავარი პრობლემა

«

ამ საგანში საკითხები იმგვარად არის დალაგებული, რომ ეს ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა არა მხოლოდ ღირებულების, არამედ, შინაარსის თვალსაზრისითაც ... ჩვენ ვსაუბრობთ ამ საკითხებზე... და განვიხილავთ სათანადო ვარიანტებს პრობლემის გადასაჭრელად... ... თუ მოსწავლე ვერ განიხილავს საკუთარ პრობლემებს ღიად სადმე სხვაგან, მაშინ გაკვეთილებზე ამგვარი განხილვა ეხმარება მას.

გამოკითხული სკოლის დირექტორები ამბობენ, რომ ისინი ახორციელებენ სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობას, ზოგჯერ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით. ისინი ფიქრობენ, რომ არაფორმალური განათლება ძალიან მნიშვნელოვანია და ყოველთვის მზად არიან, დაეხმარონ სასკოლო საზოგადოებას ახალი იდეების გამოხატვაში და პროექტებისა თუ ღონისძიებების წახალისებაში.

მასწავლებელთა კომპეტენტურობაა ... ეს უფრო ადვილია არაფორმალურ კლუბებში, პრობლემა გაკვეთილებია, სწავლა და სწავლება, მათ ტრენინგი სჭირდებათ. [სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი]

მშობელთა ჩართულობა სწავლისა და სწავლების პროცესში ... დამოკიდებულია სკოლაზე, ზოგიერთმა არ იცის, როგორ გამოიყენოს მშობელი რესურსის სახით ... ვერ ხედავს მათ როლს ... მაგალითად, ჩვენ ვიყენებდით ექთნებს [სამედიცინო რჩევებისთვის] პანდემიის დროს ... ან შეიძლება მათ ზღაპრები წაუკითხონ პატარა მოსწავლეებს. [სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი]

სამოქალაქო განათლება

სამოქალაქო განათლება ძირითად როლს ასრულებს მოსწავლის მონაწილეობითი კულტურის განვითარებაში. უპირველეს ყოვლისა, ის მოსწავლეებს საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის საშუალებას აძლევს სკოლასა და საზოგადოებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებზე, არა მხოლოდ პროექტების საშუალებით, რომლებიც მიმართულია სკოლაში ან საზოგადოებაში არსებული რეალური პრობლემების გადაჭრისკენ, არამედ, ასევე, როლური თამაშების, სიმულაციების, სააზროვნო-ექსპერიმენტების ადა ჰიპოთეტური სიტუაციების განხილვის საშუალებით.

ამასთან, სამოქალაქო განათლება მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, სრულყონ თავიანთი უნარ-ჩვევები მონაწილეობისთვის, მათ შორის:

- მოსმენის;
- მოსაზრებების გამოხატვისა და დასაბუთების;
- კამათის;
- დარწმუნების;
- მოლაპარაკების;
- დისკუსიის დროს ქცევის.

ჩვენი რესპონდენტები ამბობდნენ, რომ სამოქალაქო განათლება, როგორც საგანი, წამყვან როლს იკავებს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სწავლებაში, ანუ მოსწავლის მონაწილეობითი კულტურის განვითარებაში. სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ, როგორც თეორიული ჩარჩოს ახსნის, ასევე, ყოველდღიური ცხოვრებიდან მაგალითების მიწოდებისა.

ამონარიდი ციტატები ფოკუს-ჯგუფებიდან:

სამოქალაქო განათლებაში ეს ძალიან დიდი „მაშველი რგოლია“. რადგან ამ საგანში საკითხები იმგვარად არის დალაგებული, რომ ეს ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა არა მხოლოდ ღირებულების, არამედ, შინაარსის თვალსაზრისითაც ... ჩვენ ვსაუბრობთ ამ საკითხებზე... [და განვიხილავთ] სათანადო [ვარიანტებს] პრობლემის გადასაჭრელად... ... თუ მოსწავლე ვერ განიხილავს საკუთარ პრობლემებს ღიად [სადმე სხვაგან], მაშინ გაკვეთილებზე ამგვარი განხილვა ეხმარება მას. [სკოლის დირექტორი]

სამოქალაქო განათლება ... ეს არ არის მხოლოდ ერთი საგნის ფარგლებში დემოკრატიის სწავლება ... მაგრამ ის უნდა დაწინაურდეს ახლა ... პრობლემა ადამიანურ რესურსებში მდგომარეობს ... სამოქალაქო განათლების მასწავლებლები სხვადასხვა გამოცდილებით და სხვადასხვა სასწავლო საგნიდან არიან. [საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაცია]

სამოქალაქო განათლების მიზნებია ... მშვიდობიანი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები ... საზოგადოებრივი პრობლემების ყოველდღიურ გარემოში დადგენის და გადაჭრის უნარი ...

ძირითადი უნარები კარგი მოქალაქეობისთვის. [სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი]

კლასგარეშე აქტივობები

კლასგარეშე აქტივობები უნიკალურ შესაძლებლობებს იძლევა მოსწავლეთა მონაწილეობის თვალსაზრისით. გაკვეთილის გარეთ მიმდინარე აქტივობები არ იზღუდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებით ან საკლასო წეს-ჩვეულებებით. მოსწავლე შეიძლება ჩაერთოს სხვადასხვა ტიპის აქტივობაში, დაწყებული სპორტული კლუბებიდან და წმინდა სოციალური აქტივობებიდან, დასრულებული საზოგადოებრივი პროექტებით და კამპანიებით. ისინიც ნებაყოფლობითია, რაც იმას ნიშნავს, რომ, სავარაუდოდ, უფრო მოტივირებულ მოსწავლეებს მიიზიდავს, მათ, ვისაც ჩართვის სურვილი აქვს.

გამოკითხული სკოლის დირექტორები ამბობენ, რომ ისინი ახორციელებენ სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობას, ზოგჯერ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით. ისინი ფიქრობენ, რომ არაფორმალური განათლება ძალიან მნიშვნელოვანია და ყოველთვის მზად არიან, დაეხმარონ სასკოლო საზოგადოებას ახალი იდეების გამოხატვაში და პროექტებისა თუ ღონისძიებების წახალისებაში. ეს აქტივობები ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ერთ გუნდად შეკვრას. ხელისშემშლელი შეიძლება აღმოჩნდეს, შედეგზე ორიენტირების ნაცვლად, პროცესზე ორიენტირება, რაც შედეგად იძლევა ჩართულობის დაბალ დონესა და შეზღუდულ სწავლას. ფინანსური რესურსების სიმწირე ზოგიერთ სკოლაში იმას ნიშნავს, რომ ყოველთვის არ არის შესაძლებელი კლასგარეშე აქტივობების განხორციელება.

ამონარიდი ციტატები ფოკუს-ჯგუფებიდან:

ჩემი აზრით, არაფორმალური განათლება ძალიან მნიშვნელოვანია, ვფიქრობ, არასამთავრობო ორგანიზაციები უნდა იყვნენ ჩართული ამ თვალსაზრისით, რადგან ის, რისი მიცემაც სკოლას არ შეუძლია მოსწავლისთვის, სწორედ ამ თვალსაზრისითაა, ასე არ არის? [სკოლის დირექტორი]

მოსწავლის სახლი, უნივერსიტეტები, მაგალითად, ჩემი სკოლა მუდმივად თანამშრომლობს ჯავახიშვილის უნივერსიტეტთან და სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად ხორციელდება პროექტები, სიმულირებული სასამართლო განხილვები, რაც ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნამდვილად აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბებაში. [სკოლის დირექტორი]

ჯვარედინი ხასიათის პროექტები... დიდი პროექტების დაგეგმვა მთელი წლისთვის ყოველთვის მოიცავს ერთზე მეტ საგნობრივ კათედრას... და შესაძლებელია მშობლების ჩართვა. [საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაცია]

ჩემს მასწავლებლებს სჭირდებათ დახმარება პროექტების ორგანიზებაში. [სკოლის დირექტორი]

პროფესიული განვითარება და რესურსები

შესაბამისი პროფესიული განვითარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსწავლეთა მონაწილეობისა და იმ შესაძლებლობების განვითარებაში, რასაც ის აძლევს მოსწავლესა და თვითონ სკოლას.

წარმატებული პროფესიული განვითარების ერთ-ერთი მთავარი ელემენტია ტრენინგის ინიციატივების მისადაგება სამიზნე ჯგუფის **გაცნობიერებულ** საჭიროებებთან. ამდენად, მაგალითად, მოსწავლეთა მონაწილეობის შესახებ ტრენინგები ყველაზე მეტად გაამართლებს სკოლის ლიდერებში, თუ ისინი ამას შეხედავენ, რო-

> **«** მაგალითად, ჩემი სკოლა მუდმივად თანამშრომლობს ჯავახიშვილის უნივერსიტეტთან და სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად ხორციელდება პროექტები, სიმულირებული სასამართლო განხილვები, რაც ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნამდვილად აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბებაში.

შესაბამისი პროფესიული განვითარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსწავლეთა მონაწილეობისა და იმ შესაძლებლობების განვითარებაში, რასაც ის აძლევს მოსწავლესა და თვითონ სკოლას.

გორც სკოლის პრობლემების, მაგალითად, ბულინგის, გაცდენების, დაბალი მოტივაციისა და მიღწევების და ა.შ. პრობლემის გადაჭრაში დახმარების საშუალებას. ასევე, იმ მასწავლებლებისთვის, რომლებიც ამას ხედავენ, როგორც თავიანთი საგნის უფრო ეფექტურად სწავლებაში დახმარების საშუალებას.

გამოკითხულ სკოლის დირექტორებს ესმით, რომ პროფესიული განვითარება მნიშვნელოვანია სკოლაში დემოკრატიული კულტურის დასანერგად. ის რელევანტურია დაინტერესებული მხარეების სხვადასხვა ჯგუფისთვის – მასწავლებლებისთვის, დირექტორებისთვის და მოსწავლეებისთვის. ისინი ამბობენ, რომ ტრენინგი უნდა იყოს ძალიან კონკრეტული და დეტალური, რათა მასწავლებლებმა ზუსტად იცოდნენ, თუ როგორ გამოიყენონ ის საკლასო ოთახში.

ამონარიდი ციტატები ფოკუს-ჯგუფებიდან:

სამუშაო ტრენინგები, შეხვედრები კარგი იქნებოდა. როგორც მოსწავლეებთან, ისე მასწავლებლებთანაც. [სკოლის დირექტორი]

თუ მასწავლებლები და მოსწავლეები ერთდროულად დაესწრებიან, მოსწავლე მას სხვაგვარად აღიქვამს, რომ ის თავს თანასწორად გრძნობს, რადგან იმავე ტრენინგს გადის მასწავლებლის გვერდით. [სკოლის დირექტორი]

ტრენინგი ძალიან დეტალური უნდა იყოს, მან პირდაპირ უნდა აჩვენოს მასწავლებელს, თუ რატომ უნდა დახარჯონ ამდენი ენერგია, ამდენი შრომა და ამდენი შემოქმედებითობა, რატომ უნდა გამოიყენონ ის მოსწავლეების გააქტიურებისთვის. [სკოლის დირექტორი]

მოსწავლის მონაწილეობის მიმართ საერთო სასკოლო მიდგომის ჩამოყალიბება, შეუძლებელია, თავისი არსით ვერტიკალური პროცესი იყოს. ის უნდა იყოს თანამშრომლობითი. ამიტომაც მას თან უნდა ახლდეს საერთო სასკოლო მიდგომა პროფესიული განვითარებისათვისაც. ამდენად, არსებობს შესაძლებლობები, რომლებიც საერთო სასკოლო ინიციატივებთან მოსწავლეთა მონაწილეობის განვითარებისათვის უნდა გვქონდეს, რაც, თავის მხრივ, დაუკავშირდება დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოს პოპულარიზაციას, მაგალითად, სადაც სკოლები ირჩევენ კომპეტენციებს სამოქმედოდ, როგორც თემებს სკოლის განვითარებისთვის მთელი სემესტრის განმავლობაში, მოსწავლეთა მონაწილეობა შეიძლება ჩაითვალოს ამ კომპეტენციების განვითარების ერთ-ერთ გზად.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, კვლევის ფარგლებში, დირექტორების გარდა შევისწავლეთ მასწავლებლების, მოსწავლეებისა და საკითხზე მომუშავე ექსპერტების მოსაზრებები, რომელზე დაყრდნობითაც შემუშავდა რეკომენდაციებიც, რაც აქტუალური რესურსია გასაცნობად სკოლის დირექტორებისა და, ზოგადად, სკოლებისათვის მოსწავლეების გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობის გაზრდის ხელშესაწყობად, რაც შესაძლებელია სკოლებში დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლებისა და პრაქტიკის მეშვეობით, თუმცა რეკომენდაციებსა და მათზე დაფუძნებით შემუშავებულ ინსტრუმენტებს ჟურნალის შემდგომ ნომრებში წარმოგიდგენთ.

ინსტრუქციები
მოსწავლეთა შეხვედრების შედეგიანად წარმართვისათვის

მოსწავლეთა შეხვედრები, სასკოლო თუ საკლასო, მნიშვნელოვანია, წინასწარ დადგენილი პერიოდულობით იმართებოდეს (მაგალითად, საკლასო შეხვედრები კვირაში ერთხელ).

ინტენსიური და სწორად წარმართული შეხვედრები და დისკუსიები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ის, რაც მათ აწუხებთ, გამოთქვან და განიხილონ მასწავლებლებთან და თანაკლასელებთან ერთად. ზოგიერთ სკოლას გააჩნია წერილობითი დოკუმენტიც, რომელიც მოსწავლეთა სამუშაო შეხვედრებისა თუ თვითმმართველობების შეხვედრების ჩარჩოს წარმოადგენს და რომელშიც შესულია შეხვედრების ძირითადი მახასიათებლები და პირობები. თქვენ შეგიძლიათ შექმნათ მსგავსი დოკუმენტი თქვენს თანამშრომლებთან ერთად და, ქვემოთ აღწერილი სამოქმედო გეგმის გამოყენებით, უზრუნველყოთ მოსწავლეთა შეხვედრების კულტურის განვითარება სკოლის მასშტაბით.

დემოკრატიული სკოლის ხელმძღვანელის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა გააქტიურება და მონაწილეობის ხარისხის გაზრდა სკოლაში. მნიშვნელოვანია, დარწმუნდეთ, რომ მასწავლებლები სათანადოდ არიან ამისთვის მომზადებული. სკოლაში, იმ მასწავლებლებთან ერთად, რომლებიც ენთუზიაზმით ეკიდებიან აღნიშნულ ინიციატივას, დაგეგმეთ მასწავლებელთა ინფორმირებისა და მომზადების პროგრამა, რაც ამ მიმართულებით თქვენ მიერ გაღებული ძალისხმევის ნაწილს უნდა შეადგენდეს. ქვევით მოცემულ ინფორმაციას უნდა ფლობდეს ყველა მონაწილე პირი:

მოსწავლეთა შეხვედრების ძირითადი კომპონენტები:

- განსახილველი საკითხების (კონფლიქტები, ინფრასტრუქტურა, ექსკურსია, წესები, სასწავლო მასალები და ა.შ.) მოძიება და შეგროვება; მოსწავლეებს შეუძლიათ ის საკითხები, რომლებიც, მათი აზრით, განხილვას საჭიროებს, დაამატონ სპეციალურად ამ მიზნით კლასის / სკოლის მიერ შედგენილ სიას, ან წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებული მოათავსონ სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილ სივრცეში.
- საჭირო როლებისა და ფუნქციების (მაგალითად, ხელმძღვანელი, თანახელმ-

ინტენსიური და სწორად წარმართული შეხვედრები და დისკუსიები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ის, რაც მათ აწუხებთ, გამოთქვან და განიხილონ მასწავლებლებთან და თანაკლასელებთან ერთად. ზოგიერთ სკოლას გააჩნია წერილობითი დოკუმენტიც, რომელიც მოსწავლეთა სამუშაო შეხვედრებისა თუ თვითმმართველობების შეხვედრების ჩარჩოს წარმოადგენს და რომელშიც შესულია შეხვედრების ძირითადი მახასიათებლები და პირობები.

ძღვანელი, ჩანაწერების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, რეგლამენტის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, სხვა ტექნიკურ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი) განაწილება. როლებისა და ფუნქციების სათანადოდ შესრულებისათვის მოსწავლეების მომზადება ხდება მასწავლებლის ან კლასის დამრიგებლის დახმარებით.

- **მიზანი:** კლასის დამრიგებელი/მასწავლებელი ეტაპობრივად წყვეტს მოსწავლეების დახმარებას და მოსწავლეები განაგრძობენ საკუთარი ფუნქციების დამოუკიდებლად შესრულებას.

მოსწავლეთა შეხვედრის ეტაპები – დეტალურად:

მზადება შეხვედრისთვის:

- სხდომის დაწყებამდე: ხდება განსახილველი თემების/საკითხების თავმოყრა და დახარისხება (თემების შეგროვება).
- მოსწავლეები ამზადებენ ბოლო შეხვედრის ოქმსა და დაგეგმილი სხდომის ოქმის ფორმას.
- საკლასო ოთახში სკამები განლაგდება წრეზე და მიმდინარეობს მასალების მობილიზება.
- აუცილებელია შეხვედრის წამყვანის არჩევა (ყველა სხდომას შესაძლებელია ჰყავდეს თავისი წამყვანი, თუმცა შესაძლებელია თავმჯდომარე არჩეული იყოს ერთი სრული სემესტრის განმავლობაში გამართული სხდომების წარმართვისათვის).

სხდომის გახსნა:

მნიშვნელოვანია, სხდომა გაიხსნას მისასალმებელი სიტყვით, რომლითაც სხდომის წამყვანი მიმართავს სხდომის დამსწრეებს და რომელშიც მას შეუძლია ისაუბროს შეხვედრის მიზნებზე, აქტუალურ საკითხებზე, საერთო სურვილებსა და მიზნებზე.

წინა შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებების მოკლე მიმოხილვა:

ჯგუფი მოკლედ მიმოიხილავს გასულ სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, მათთან დაკავშირებით დამსწრეების მიერ გამოთქმულ მნიშვნელოვან მოსაზრებებს ჩაინიშნავს და შესაძლებელია ეს მოსაზრებები დაურთოს მიმდინარე სხდომაზე განსახილველ საკითხთა ჩამონათვალს.

ოქმში შესული საკითხების მიმოხილვა:

ჯგუფი განიხილავს საკითხთა ჩამონათვალს, შემდეგი პრინციპით:

- კვლავ აქტუალურია საკითხი ან თემა? ხომ არ საჭიროებს ეს საკითხი ან თემა განმეორებით ან შემდგომ განხილვას?
- ხომ არ იჩინა თავი რაიმე საკითხებმა, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაჭრას საჭიროებს?
- ხომ არ არის საჭირო დამატებითი ინფორმაციის მოძიება, განხილვა და გადაწყვეტილების მიღება?

პრობლემების განხილვა/კონფლიქტების მოგვარება:

მოსწავლეები საუბრობენ იმ საკითხებზე, რომლებიც მათ აღელვებთ, ეძებენ გამოსავალს და განიხილავენ პრობლემის გადაჭრის შემოთავაზებულ ვარიანტებს. მოსწავლემ, რომელიც ჯგუფს აცნობს განსახილველ საკითხს, უნდა აღწეროს, რაში მდგომარეობს საკითხის არსი და პრობლემა. სხვა მოსწავლეები, მას შემდეგ, რაც გაეცნობიან საკითხის არსს, სვამენ კითხვებს, გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს და ეძებენ გამოსავალს (რა დროსაც მოსწავლეები მუშაობენ მცირერიცხოვან ჯგუფებში, ან მთელი კლასი ერთად).

გადაწყვეტილების მიღება:

მას შემდეგ, რაც დასრულდება საკითხზე მსჯელობა, მიღებულ უნდა იქნეს ერთსულოვანი გადაწყვეტილება (კენჭისყრის საშუალებით, ან შეთანხმების გზით) და შემუშავდეს პროცედურა, რომელიც საკითხის მოგვარების პროცესს დაედება საფუძვლად.

ჩანაწერის გაკეთება გადაწყვეტილების შესახებ:

მნიშვნელოვანი ფაქტორია გადაწყვეტილებების შესახებ ჩანაწერების გაკეთება, რომლებიც დოკუმენტების ფორმით შეინახება შეხვედრების შესახებ საქაღალდეში. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, ჯგუფმა უნდა შეამოწმოს, შესრულდა და/ან სრულდება თუ არა მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილეები (და თუ არა, რატომ?).

შეჯამება და უკუკავშირი სხდომის ფარგლებში:

მოსწავლეები აჯამებენ საკუთარ გამოცდილებას, რომელიც მათ შეხვედრის ფარგლებში ერთად მუშაობის პერიოდში მიიღეს და მსჯელობენ მასზედ, თუ რამ იმუშავა კარგად და რამ არა და რას შეცვლიდნენ ისინი ინდივიდუალურად და ერთად.

სხდომის დახურვა:

შეხვედრის წამყვანი სხდომის დამსწრეებს კიდევ ერთხელ აცნობს მიღებულ გადაწყვეტილებებს, აზუსტებს საორგანიზაციო საკითხებს და ა.შ.

შეხვედრის შეჯამება:

კლასის დამრიგებელი, მოსწავლეებთან ერთად, აჯამებს შეხვედრას და აფასებს, თუ როგორ გაართვეს მათ თავი ამოცანას (მაგალითად, სხდომის წამყვანმა, ოქმის წარმოებაზე პასუხისმგებელმა მოსწავლემ, ფოტოგრაფმა და ა.შ.). ამასთან, კლასის დამრიგებელი აფასებს, კვლავ სჭირდებათ თუ არა მოსწავლეებს დახმარება, მაგალითად, სხდომის თავმჯდომარეობის მიმართულებით, ან შეხვედრის წარმართვის მიმართულებით ან, სჭირდებათ თუ არა მათ დამატებითი რჩევები.

მოამზადა **სალომე ცხვედიანმა**

«დემოკრატიული სკოლის ხელმძღვანელის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა გააქტიურება და მონაწილეობის ხარისხის გაზრდა სკოლაში. მნიშვნელოვანია, დარწმუნდეთ, რომ მასწავლებლები სათანადოდ არიან ამისთვის მომზადებული. სკოლაში, იმ მასწავლებლებთან ერთად, რომლებიც ენთუზიაზმით ეკიდებიან აღნიშნულ ინიციატივას, დაგეგმეთ მასწავლებელთა ინფორმირებისა და მომზადების პროგრამა, რაც ამ მიმართულებით თქვენ მიერ გაღებული ძალისხმევის ნაწილს უნდა შეადგენდეს.

სასკოლო პროექტები

ნინო ჩიხლაძე

სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის #3 საჯარო სკოლის დირექტორი

სკოლის დასახელება:

სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ საჩხერის #3 საჯარო სკოლა

პროექტი:

დემოკრატიული პედაგოგიკა – სასკოლო სადამრიგებლო პროგრამა დემოკრატიული კულტურის ხელშესაწყობად

პროექტის ხელმძღვანელი:

ნინო ჩიხლაძე

პროექტის განმხორციელებელი გუნდი:

ნინო გაფრინდაშვილი
მაია თაბაგარი
მთვარისა გოგატიშვილი
ირმა ხვედელიძე
ლელა ზაბახიძე

I. პრობლემის დასაბუთება

დამრიგებელი მოსწავლეების ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. მისი მიზანია ჯანსაღი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე პიროვნების აღზრდა, სასწავლო პროცესის მართვა, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, მშობელთათვის მოსწავლეთა შედეგების გაცნობა. დამრიგებლის მუშაობა უნდა ემყარებოდეს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ხელს უწყობდეს მოსწავლეებში კოგნიტური და ფიზიკური უნარების განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, უვითარებდეს მათ ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას, უვითარებდეს მონაწილეობის კულტურას და ეხმარებოდეს ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებასა და განხორციელებაში.

დამრიგებლების მუშაობა კლასებთან უნდა მიმდინარეობდეს საჭიროებებიდან გამომდინარე, მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით. თუმცა სადამრიგებლო პროგრამების შესწავლამ აჩვენა, რომ როცა დამრიგებლები ძირითადად ფორმალურად გეგმავენ სადამრიგებლო პროგრამას და ნაკლებად ითვალისწინებენ მოსწავლეების საჭიროებებს, აქტივობები და ღონისძიებები არის ერთფეროვანი და ნაკლებად პასუხობს

ზოგადი განათლების მიზნებს. შედეგად, მოსწავლეების მონაწილეობაც მსგავსი ტიპის ღონისძიებებზე დაბალია და, შესაბამისად, მოსწავლეებში ნაკლებად არის განვითარებული ისეთი კომპეტენციები, როგორებიცაა ეფექტური კომუნიკაციის, პრეზენტაციის, კონფლიქტების მოგვარების, კრიტიკული აზროვნებისა და პასუხისმგებლობის.

დამრიგებლის ინსტიტუტის გასაძლიერებლად და სადამრიგებლო საათის ეფექტურად დასაგეგმად, სკოლის დირექციამ საუკეთესო ინსტრუმენტად მიიჩნია დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო და, მასწავლებლებთან თანამშრომლობით, შეიმუშავა პროგრამა, დაგეგმა მთელი რიგი აქტივობებისა ქვემოთ მოცემული მიზნების მისაღწევად.

II. პროექტის მიზნები და ამოცანები

- დამრიგებლების კომპეტენციების ამაღლება საჭიროებების სწორად დადგენისა და ეფექტური სამოქმედო გეგმის შემუშავების ხელშესაწყობად.
- სადამრიგებლო საათის ეფექტურად დაგეგმვა, რათა მოსწავლეებმა შეძლონ, გაიღრმავონ ცოდნა ეთიკის, ფსიქოლოგიის, სამოქალაქო განათლების სფეროში.
- დამრიგებლები დაეხმარონ მოსწავლეებს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების გააზრებასა და მათ განვითარებაში.
- დამრიგებლების ხელშეწყობით, სკოლაში კეთილდღეობის გაუმჯობესება და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.

III. სამიზნე ჯგუფები (ვისი პრობლემის მოგვარებას ვცდილობთ და ვინ შეიძლება მიიღოს კიდევ სარგებელი)

მხარე	სარგებელი
მოსწავლე	დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების დახვეწა და განვითარება.
მასწავლებელი	კვალიფიკაციის ამაღლება დემოკრატიული კულტურის, სამუშაოს დაგეგმვისა და განხორციელების მხრივ.
სკოლა	კეთილდღეობის გაუმჯობესება და უსაფრთხო გარემოს შექმნა. დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბება სკოლაში.
მშობელი	სასკოლო საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გააზრება და სკოლისა და მოსწავლის წარმატებაში წვლილის შეტანა.

IV. რისკების ანალიზი

	რისკები	ალბათობა	რისკის შემცირების სტრატეგია
შიდა	■ დროის დეფიციტი ■ გარედან შემოთავაზებული სხვა ტრენინგები	მაღალი საშუალო	მასწავლებლების ინტერესს მორგებული სამუშაო გრაფიკი
გარე	■ მშობლების უკმაყოფილება ■ Covid 19 და სეზონური ვირუსის გავრცელება	საშუალო მაღალი	მათთვის პროექტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. აქტივობების მოდიფიცირება დისტანციური სწავლებისთვის.

V. სამოქმედო გეგმა

ეტაპები	პროექტის რომელ მახასიათებელს შეესაბამება კონკრეტული აქტივობა	აქტივობა (საქმიანობა მოქმედება)	ვადები	რესურსები: ადამიანური	რესურსები: მატერიალური	დადასტურება	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
დამრიგებლების კომპეტენციების ამაღლება	კავშირი დემოკრატიული კულტურის კომპეტენციასთან/კომპეტენციებთან;	არსებული ლიტერატურის განხილვა.	ოქტომბერი	დირექცია პროექტზე მომუშავე ჯგუფი დამრიგებლები	საკანცელარიო ნივთები კომპიუტერი პროექტორი	სარეკომენდაციო ლიტერატურის ჩამონათვალი	პროექტის ხელმძღვანელი	
	მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობის გათვალისწინება;	მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად არსებული ლიტერატურის გამოყენებით, ეფექტური ინსტრუმენტების შექმნა.	ოქტომბერი	პროექტზე მომუშავე ჯგუფი დამრიგებლები	საკანცელარიო ნივთები კომპიუტერი პროექტორი	ლიტერატურის ანალიზი	პროექტის ხელმძღვანელი და ჯგუფი	
		ტრენინგი „ადამიანის უფლებათა სწავლება“ და სხვ. მასწავლებლებისთვის	ნოემბერი	დირექცია პროექტზე მომუშავე ჯგუფი დამრიგებლები	საკანცელარიო ნივთები კომპიუტერი პროექტორი	ტრენინგის პროგრამა და რეფლექსია	პროექტის ხელმძღვანელი	
მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა და სადამრიგებლო საათის დაგეგმვა		მოსწავლეებზე დაკვირვების წარმოება წინასწარ შედგენილი კითხვარის საფუძველზე	ნოემბერი	დირექცია დამრიგებლები მოსწავლეები	საკანცელარიო ნივთები კომპიუტერი პროექტორი	კითხვარი	დამრიგებლები	

ეტაპები	პროექტის რომელ მახასიათებელს შეესაბამება კონკრეტული აქტივობა	აქტივობა (საქმიანობა მოქმედება)	ვადები	რესურსები: ადამიანური	რესურსები: მატერიალური	დადასტურება	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
		ფოკუს-ჯგუფების ჩატარება კლასში შემსვლელ მასწავლებლებთან, მშობლებთან და მშობლებთან	ნოემბერი	დირექცია პროექტზე მომუშავე ჯგუფი დამრიგებლები მასწავლებლები მშობლები	საკანცელარიო ნივთები კომპიუტერი პროექტორი	კითხვარი შეხვედრის ჩანაწერი	პროექტის ჯგუფი და დამრიგებლები	
		მიღებული შედეგების ანალიზი და გაზიარება.	ნოემბერი	პროექტზე მომუშავე ჯგუფი	საკანცელარიო ნივთები კომპიუტერი	ანალიზის ფორმა	პროექტის ხელმძღვანელი და ჯგუფი	
		სადამრიგებლო პროგრამის შედგენა, გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით	დეკემბერი	მოსწავლეები დამრიგებლები	საკანცელარიო ნივთები კომპიუტერი	პროგრამები	დამრიგებლები	
სამოქმედო გეგმის განხორციელება კლასებში		კლასის საათების ჩატარება	იანვარი-მაისი	დამრიგებლები მოსწავლეები	საკანცელარიო ნივთები კომპიუტერი პროექტორი	ანგარიშები	დამრიგებლები	
		სასკოლო პროექტების განხორციელება	იანვარი-მაისი	დირექცია დამრიგებლები მოსწავლეები მასწავლებლები მშობლები	საკანცელარიო ნივთები კომპიუტერი პროექტორი	ანგარიშები	დამრიგებლები	

ეტაპები	პროექტის რომელ მახასიათებელს შეესაბამება კონკრეტული აქტივობა	აქტივობა (საქმიანობა მოქმედება)	ვადები	რესურსები		დადასტურება	პასუხისმგებელი პირი	შენიშვნა
				ადამიანური	მატერიალური			
ელექტრონული გზამკვლევის მასალების შეგროვება, რედაქტირება და შექმნა		მასალების შეგროვება და შექმნა	მარტი	პროექტზე მომუშავე ჯგუფი დამრიგებლები მასწავლებლები	საკანცელარიო ნივთები კომპიუტერი	დაბეჭდილი გზამკვლევი	პროექტის ხელმძღვანელი და ჯგუფი	
		რედაქტირება დაკაბადონება	აპრილი	პროექტზე მომუშავე ჯგუფი	საკანცელარიო ნივთები კომპიუტერი	დაბეჭდილი გზამკვლევი	დამრიგებლები მასწავლებლები	
		ბეჭდვა	მაისი	პროექტზე მომუშავე ჯგუფი	საკანცელარიო ნივთები კომპიუტერი	დაბეჭდილი გზამკვლევი	პროექტის ხელმძღვანელი	
შემაჯამებელი კონფერენცია		საპრეზენტაციო მასალების მომზადება	მაისი	პროექტზე მომუშავე ჯგუფი	საკანცელარიო ნივთები კომპიუტერი	თემები	პროექტის ხელმძღვანელი და ჯგუფი	
		საპრეზენტაციო სივრცის მოწყობა და კონფერენციის ჩატარება	მაისი	საკანცელარიო ნივთები სააქტო დარბაზი მაგიდები სკამები კომპიუტერი	საკანცელარიო ნივთები კომპიუტერი	კონფერენციის პროგრამა	პროექტის ხელმძღვანელი და ჯგუფი	

VI. მონიტორინგის, შეფასებისა და უკუკავშირის გეგმა

N	მონიტორინგის ფორმა	ინსტრუმენტი	დადასტურება	შეფასება, უკუკავშირი
1.	გამოკითხვა	კითხვარი	შევსებული კითხვარი; უკუკავშირი; დასწრების უწყისი; ფოტომასალა; ტრენერის ანგარიში.	სიტყვიერი რეკომენდაციები
2.	დაკვირვება	ჩეკლისტი	შევსებული კითხვარი; უკუკავშირი; დასწრების უწყისი; ფოტომასალა; ტრენერის ანგარიში.	სიტყვიერი და წერილობითი რეკომენდაციები
3.	დოკუმენტაციის შესწავლა	ანგარიშის ფორმები	შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები, შედეგების ანალიზი, ანგარიშის ფორმა, რეფლექსია.	შედეგებზე რეაგირება, განმავითარებელი წერილობითი უკუკავშირი

VII. აქტივობების განხორციელების კალენდარი

N	აქტივობა	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
1.1.	არსებული ლიტერატურის განხილვა.	■							
1.2.	მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად, არსებული ლიტერატურის გამოყენებით, ეფექტიანი ინსტრუმენტების შექმნა.	■							
1.3.	ტრენინგი „ადამიანის უფლებათა სწავლება“ მასწავლებლებისთვის.		■						
2.1	მოსწავლეებზე დაკვირვების წარმოება შედგენილი კითხვარის საფუძველზე.		■						
2.2	ფოკუს-ჯგუფების ჩატარება კლასში შემსვლელ მასწავლებლებთან და მშობლებთან.		■						

N	აქტივობა	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
2.3	მიღებული შედე-გების ანალიზი და გაზიარება.		■						
2.4	სადამრიგებლო პროგრამების შედ-გენა, გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით.			■					
3.1	კლასის საათების ჩატარება				■	■	■	■	■
3.2	სასკოლო პროექ-ტების განხორცი-ელება.				■	■	■	■	■
4.1	მასალების შეგრო-ვება და შექმნა.						■		
4.2	რედაქტირება და დაკაბადონება							■	
4.3	გზამკვლევის ბეჭდ-ვა.								■
5.1	საპრეზენტაციო მასალების მომზა-დება.								■
5.2	საპრეზენტაციო სივრცის მოწყობა და კონფერენციის ჩატარება.								■

VIII. შედეგები

A. **რაოდენობრივი** (მოკლევადიანი)

- პროექტში ჩართულია სკოლის 9 დამრიგებელი და 17 მასწავლებელი;
- პროექტით გათვალისწინებული აქტივობები ხორ-ციელდება ყველა კლასში I - XII კლასის ჩათვლით;
- პროექტში, ასევე, ჩართულია 30-მდე მშობელი.

B. **თვისებრივი**

- მოსწავლეებსა და მასწავლებლებში დემოკრატიული კულტური კომპეტენციების დახვეწა და განვითარება
- მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება დე-მოკრატიული კულტურის კომპეტენციების, სამუშაოს დაგეგმვისა და განხორციელების მხრივ.
- სასკოლო საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გააზრება და სკოლისა და მოსწავლის წარმატებაში წვლილის შეტანა

A. **რაოდენობრივი** (გრძელვადიანი)

პროექტის ფარგლებში შეიქმნება და გამოცემა 50 გზამკვლევი,

ინტერნეტის საშუალებით მოხდება ელექტრონული გზამკვლევის გავრცელება და მის გამოყენებას შეძლებს ნებისმიერი მასწავლებელი საქართველოში.

B. თვისებრივი

სკოლაში კეთილდღეობის გაუმჯობესება და უსაფრთხო გარემო შექმნა.

დემოკრატიული კულტურის ჩამოყალიბება სკოლაში.

IX. პროექტის მდგრადობა

პროექტის ფარგლებში შექმნილი სადამრიგებლო საქმიანობის გზამკვლევი, სადაც თავმოყრილი იქნება კითხვარები, სამოქმედო გეგმები და აქტივობების ნიმუშები, უზრუნველყოფს სკოლაში დამრიგებლების წარმატებულ მუშაობას მომდევნო წლების განმავლობაში. ეს სახელმძღვანელო სასარგებლო რესურსი იქნება სხვა სკოლების მასწავლებლებისთვისა და დირექტორებისთვის, თუ ისინი გადაწყვეტენ დემოკრატიული კულტურის განვითარების ხელშეწყობას თავიანთ სკოლებში.

სადამრიგებლო პროგრამა მოიცავს შემდეგ პროექტებს:

- „მეგობარი წესები“ – I კლასი
- „ჯადოსნური სიტყვები“ – II კლასი
- „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“ – III კლასი
- „აქტიური მსმენელი“ – IV კლასი
- „მე ვირჩევ ჯანსაღი ცხოვრების წესს“ – V-VI კლასები
- „მე – მედიატორი“ – VII – VIII კლასები
- „ძალა აზროვნებაშია“ – X კლასი
- „ჩვენ ვქმნით დემოკრატიას სკოლაში“ – X, XI, XII კლასები

მოსწავლეთა მონაწილეობა სწავლის მიზნების განსაზღვრა-გააზრებაში და გაკვეთილის დაკავშირება რეალურ სამყაროსთან

ჩვენ ხშირად გვესმის, რომ სკოლის ხელმძღვანელობა საპასუხისმგებლო საქმეა და რომ სკოლის ხელმძღვანელს, როგორც საგანმანათლებლო ლოდერს, ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს სკოლის ძირითად მიზნებზე. ასევე, ვსაუბრობთ იმის შესახებაც, რომ მოსწავლეთა მონაწილეობა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ მოსწავლეთა თვითმმართველობის ფორმალური აქტიურობით და იმ საკითხებით, რომლებიც უშუალოდ სკოლას ეხება. მაგრამ ამავე დროს, რამდენად ზუსტად ვიცით, რა ხდება საგაკვეთილო დონეზე?

ჩვენ გვსურს, ჩვენი მოსწავლეები კარგად იყვნენ მომზადებული დემოკრატიულ საზოგადოებაში საკუთარი როლის პირნათლად შესრულებისათვის. მაგრამ რამდენად რეალურია მოლოდინი იმისა, რომ მოსწავლეები დამოუკიდებლად შეძლებენ დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობისათვის მზადმყოფ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას, მხოლოდ რამდენიმე წლის განმავლობაში სკოლაში გაკვეთილებზე დასწრების საშუალებით? სწორედ აქ არის მნიშვნელოვანი მათი მონაწილეობა სწავლის მიზნების განსაზღვრა-გააზრებაში.

„ოდესმე დამჭირდება ეს ცხოვრებაში? გამომადგება რეალურ გარემოში?“ ამგვარი კითხვები ხშირად ისმის და მეტყველებს იმ სხვაობაზე, რომელიც არსებობს სკოლაში მათ მიერ მიღებულ გამოცდილებასა და რეალურ ცხოვრებაში მიღებულ გამოცდილებას შორის. მოსწავლეებისათვის არ არის საკმარისი იმის მოსმენა, რომ გაკვეთილი ან საგანი მათ გამოადგებათ, ვინაიდან იგი სასწავლო პროგრამაშია შეტანილი, ან იმიტომ, რომ ამას მათ მასწავლებელი ეუბნება, ან იმიტომ, რომ მათ გამოცდები აქვთ ჩასაბარებელი.

მასწავლებელს უნდა შეეძლოს, ახსნას, თუ რატომ შეარჩია თემა და უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს ინფორმაცია სწავლის მიზნების შესახებ, იმის გათვალისწინებით, რომ ხშირად ბავშვებისთვის საინტერესოა მხოლოდ ის, რაც უკავშირდება რეალურ ცხოვრებას და იმას, რის შესახებაც მოსწავლეებს უკვე აქვთ გარკვეული ინფორმაცია.

მასწავლებლებს შეუძლიათ, პატარ-პატარა ნაბიჯებით დააკმაყოფილონ მოსწავლეთა სწავლის საჭიროებები, თუმცა ეს ნაბიჯები მათ აუცილებლად უნდა გადადგან:

https://www.living-democracy.com/textbooks/volume-1/part-2/unit-1/chapter-2/lesson-7/

» მასწავლებელს უნდა შეეძლოს, ახსნას, თუ რატომ შეარჩია თემა და უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს ინფორმაცია სწავლის მიზნების შესახებ, იმის გათვალისწინებით, რომ ხშირად ბავშვებისთვის საინტერესოა მხოლოდ ის, რაც უკავშირდება რეალურ ცხოვრებას და იმას, რის შესახებაც მოსწავლეებს უკვე აქვთ გარკვეული ინფორმაცია.

მასწავლებლებს, რომლებსაც სურთ, დარწმუნდნენ, რომ სწორი დიდაქტიკური სტრატეგია აქვთ არჩეული, შეუძლიათ ისარგებლონ შემდეგ ბმულზე მოცემული მასალით:

https://www.living-democracy.com/textbooks/volume-1/part-2/unit-2/

მონაწილეობის სწავლა სკოლაში შესაძლებელია გამოცდილებისა და მასზე მსჯელობის საშუალებით. გაკვეთილის ფორმატში ჩართული თითოეული თემა და საერთო სასკოლო მიდგომა ბევრ გზას გვთავაზობს სასწავლო თემების რეალურ ცხოვრებასთან, განსაკუთრებით კი სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირების მიმართულებით. სკოლამ ამ ამოცანას უკიდურესად სერიოზულად უნდა შეხედოს, ვინაიდან სწავლა ეფექტიანია მაშინ, როდესაც მოსწავლეს შეუძლია სწავლის შედეგების რეალურ ცხოვრებაში მიღებულ გამოცდილებასთან და საკუთარ ინტერესებთან დაკავშირება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მასწავლებლებმა გადახედონ სწავლების მიზნებსა და ამოცანებს და ეცადონ, მიუსადაგონ სწავლება რეალურ სამყაროსა და რეალურ ცხოვრებას. ამ კუთხით თქვენ, როგორც სკოლის ხელმძღვანელს, შეგიძლიათ ხშარად გაუწიოთ ორგანიზება დისკუსიას, სადაც განხილული იქნება კონკრეტული საკითხები:

- ამოცანის განმარტება, მისი მიზანი და სფერო
- ერთი საგნის მასწავლებლები ქმნიან გუნდებს
- დაურიგეთ მასწავლებლებს სამუშაო ფურცლები
- მიეცით დრო მასწავლებელთა გუნდებს, რათა შეავსონ სამუშაო ფურცლები სათანადო ინფორმაციით
- გუნდის წევრები ერთად განიხილავენ საკუთარ პასუხებს
- გუნდის წევრები მსჯელობენ და გამოყოფენ მნიშვნელოვან საკითხებს და საკითხებს ნომრავენ პრიორიტეტულობის მიხედვით
- გუნდები წარადგენენ მათ მიერ იდენტიფიცირებულ სამ ყველაზე პრიორიტეტულ საკითხს
- შემაჯამებელი მსჯელობა შესაძლებელია წარიმართოს შემდეგ კითხვებზე პასუხების გაცემით:
- ყველა ვთანხმდებით პრიორიტეტებზე?
- რატომ არის გაკვეთილის ეს მიზნები მნიშვნელოვანი, გაკვეთილის რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირების თვალსაზრისით?
- რამდენად რელევანტურია ჩვენი სკოლისთვის კითხვარში შესული კითხვები?
- რა ძირითადი დაბრკოლებაა გადასალახი ამგვარი კითხვარის სწავლების ყოველდღიურ პრაქტიკაში დასანერგად?

ამ დისკუსიების დროს გამოგადგებათ ქვემოთ მოცემული კითხვარი:

> ჩვენ გვსურს, ჩვენი მოსწავლეები კარგად იყვნენ მომზადებული დემოკრატიულ საზოგადოებაში საკუთარი როლის პირნათლად შესრულებისათვის. მაგრამ რამდენად რეალური მოლოდინი იმისა, რომ მოსწავლეები დამოუკიდებლად შეძლებენ დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობისათვის მზადმყოფ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას, მხოლოდ რამდენიმე წლის განმავლობაში სკოლაში გაკვეთილებზე დასწრების საშუალებით?

რა მიზნების მიღწევა მსურს? რა სურს ჩემს მოსწავლეს?

მოცემული თემის ამოწურვის შემდეგ, რა კომპეტენციები იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი?

რამ განაპირობა მოცემული კონკრეტული მიზნების დასახვა?

რა პრიორიტეტს ვანიჭებ ჩემ მიერ დასახულ მიზნებს (პირველადი მნიშვნელობის თუ მეორეხარისხოვანი)?

რა მიზნების მიღწევაა მოცემულ მომენტში მნიშვნელოვანი – მთლიანი კლასისათვის, ინდივიდუალურად მოსწავლეებისათვის, გოგონების და/ან ვაჟებისათვის?

დარწმუნებული ვარ, რომ ჩემ მიერ დასახული მიზნები ემსახურება ჩემი მოსწავლეების ძირითად ინტერესებსა და საჭიროებებს?

ჩემ მიერ ჩატარებული გაკვეთილი ესადაგება იმას, რაც ჩემს მოსწავლეებს ყველაზე მეტად აინტერესებთ?

შესაძლებელია მოსწავლეების ჩართვა სწავლების მიზნების განსაზღვრისა და შერჩევის პროცესში?

რა დრო (რამდენი გაკვეთილი, რამდენი კვირა) არის განსაზღვრული დასახული მიზნების მისაღწევად?

რა მიზნები უნდა იყოს მიღწეული ყველა მოსწავლის მიერ, სწავლებისათვის განსაზღვრულ დროში (მოსწრების ძირითადი სტანდარტი)?

საჭიროა თუ არა მოსწრების სპეციფიკური დონის განსაზღვრა ინდივიდუალური მოსწავლეებისათვის (სწავლება ინდივიდუალური შესაძლებლობის მიხედვით)?

ვაძლევ თუ არა მოსწავლეებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას, ანუ, შეუძლიათ თუ არა მათ დამაჯერებლად გამოიყენონ შეძენილი ცოდნა?

რაზე ვამახვილებ ყურადღებას სწავლებისას – შემეცნებით, პიროვნულ თუ სოციალურ კომპეტენციებზე?

მაქვს თუ არა ნათელი წარმოდგენა მოკლევადიან და გრძელვადიან მიზნებზე, რომლებიც ჩემი მოსწავლეებისათვის, მოსწავლეთა ჯგუფებისათვის, ინდივიდუალური მოსწავლეებისათვის, გოგონებისა და ვაჟებისათვის უმთავრესი მნიშვნელობისაა?

ნათლად და გასაგებად განვმარტე მიზნები?

წაახალისეთ მასწავლებლები, რომ ხშირად ისაუბრონ მოსწავლეებთან მათ ინტერესებზე ამა თუ იმ საგნის ჭრილში. ამ დისკუსიების პროცესში შესაძლებელია გაიჟღეროს მრავალმა განსხვავებულმა მოსაზრებამ, წინადადებამ თუ იდეამ. მასწავლებლის ვალდებულებას წარმოადგენს ამ საკითხების დამუშავება და დახარისხება. ამის გაკეთება შესაძლებელია გაკვეთილის მიმდინარეობის პარალელურადად, მოსწავლეების მიერ გამოთქმული მოსაზრებების დაფაზე ჩამოწერით. ან, ჯგუფებში მუშაობის პროცესში, მოსწავლეები დიდი ფორმატის ფურცელზე ჩამოწერენ საკუთარ მოსაზრებებს და შემდეგ წარადგენენ ამ მოსაზრებებს კლასის წინაშე. მას შემდეგ რაც გამოთქმული და განხილული იქნება ყველა მოსაზრება, საჭიროა მათი დახარისხება საერთო მახასიათებლების მიხედვით და ამგვარად დახარისხებული მოსაზრებათა ჯგუფების ერთმანეთისგან კარგად გამიჯვნა და რეალურ ცხოვრებასთან თითოეულის კავშირის ნათლად გამოკვეთა.

მოამზადა ნინო გაბელიძე

შემოწირულობების შესახებ

დენის წურწუმია

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის შიდა აუდიტის სამმართველოს უფროსი, განათლების სამართლის მკვლევარი

> თავად სკოლასაც აქვს უფლებამოსილება, მოიზიდოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა ფინანსური სახსრები, მათ შორის, მიიღოს შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობით, თუ ეს საქმიანობა არ არის ჯანმრთელობისთვის სახიფათო და არ ახდენს მავნე ზეგავლენას მოსწავლეთა ფიზიკურ და ზნეობრივ განვითარებაზე.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უფლება აქვთ, საქველმოქმედო მიზნებისთვის, დადგენილი წესით, მოიზიდონ ნებაყოფლობითი შემოწირულობები. ამასთან, სკოლა ვალდებულია, მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ფინანსური სახსრების ან სხვა სიკეთის გამოძალვა.

ამავე კანონით, სკოლის ძირითადი დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფოს მიერ ვაუჩერის გაცემისა და კაპიტალური ხარჯების დაფინანსების გზით, თუმცა თავად სკოლასაც აქვს უფლებამოსილება, მოიზიდოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა ფინანსური სახსრები, მათ შორის, მიიღოს შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობით, თუ ეს საქმიანობა არ არის ჯანმრთელობისთვის სახიფათო და არ ახდენს მავნე ზეგავლენას მოსწავლეთა ფიზიკურ და ზნეობრივ განვითარებაზე.

ამასთან, კანონი განსაზღვრავს ამგვარი გზით მიღებული ფინანსური სახსრების გამოყენების ფარგლებს და ადგენს, რომ ის უნდა მოხმარდეს მხოლოდ სკოლის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას. კანონში პირდაპირ არ არის განმარტებული სკოლის მიზნები და ფუნქციები, თუმცა ამგვარი ჩანაწერი გვხვდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის 448 ბრძანებით დამტკიცებულ საჯარო სკოლის წესდებაში, რომლის მე-2 მუხლი განსაზღვრავს სკოლის მიზნებს, ფუნქციებსა და საქმიანობის საგანს. აღნიშნული გულისხმობს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნას; მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებას, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, მოსწავლეთა ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას, კულტურულ ფასეულობათა პატივისცემას, მოსწავლის მიერ ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და

გარემოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელშეწყობას.

ბუნებრივია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მხოლოდ ამ განმარტების გამოყენებით, რთულია სახსრების გამოყენების ჭრილში მიზნებისა და ფუნქციების შეფასება, თუმცა რადგან ამ მიზნების მიღწევის საშუალება სკოლის მხრიდან შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით განსაზღვრული სერვისის მიწოდება, კონკრეტულად ზოგადი განათლების, შესაბამისად, სახსრების ხარჯვა უნდა ხდებოდეს მოსწავლისათვის ზოგადი განათლების მიცემის მიზნებისთვის საჭირო აქტივობების ფარგლებში. ამ მიზნისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, ასევე, საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეფასება უნდა განახორციელოს ჯერ მხარჯავმა სუბიექტმა და შემდგომ მაკონტროლებელმა, იქნება ეს სახელმწიფო კონტროლის განმხორციელებელი ორგანო (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო), თუ გარე შეფასების განმხორციელებელი სხვა რაიმე უფლებამოსილი სუბიექტი.

შესაძლოა, შემოწირულობის ნაწილში განხილულ იქნეს შემდეგი შემთხვევა:

ერთ-ერთი საჯარო სკოლის ყოფილი მოსწავლის მშობელმა სკოლას საჩუქრად გადასცა 250 ერთეული ნაბეჭდი პროდუქცია (წიგნები, ჟურნალები). მშობელმა წიგ-

მიღება ჩაბარების აქტი უნდა შედგეს ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით, ისე რომ დოკუმენტიდან ირკვეოდეს მხარეების ვინაობა და უფლებამოსილება, გადაცემული (შესაბამისად, მიღებული) ინვენტარის დეტალური აღწერა და ღირებულება (შესაძლებლობის შემთხვევაში).

> **კანონში პირდაპირ არ არის განმარტებული სკოლის მიზნები და ფუნქციები, თუმცა ამგვარი ჩანაწერი გვხვდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის 448 ბრძანებით დამტკიცებულ საჯარო სკოლის წესდებაში, რომლის მე-2 მუხლი განსაზღვრავს სკოლის მიზნებს, ფუნქციებსა და საქმიანობის საგანს.**

ნები სკოლას ისე დაუტოვა, რომ არ გაფორმებულა არც მისი გადაცემის და არც აღრიცხვის რაიმე დოკუმენტი. ამის შემდეგ, არც სკოლის მიერ გატარებულა ზომები ქონების ღირებულების დადგენის თაობაზე და წიგნები განთავსდა ბიბლიოთეკაში.

ამ და ყველა სხვა მსგავს შემთხვევაში, პირველ რიგში, სკოლამ უნდა განსაზღვროს, რამდენად შეესაბამება მიღებული შემოწირულობა სკოლის მიზნებს, ხომ არ არის ის სახიფათო და მავნე ზეგავლენის მომხდენი სკოლის მოსწავლეების ფიზიკურ და ზნეობრივ განვითარებაზე. შესაბამისად, სკოლის წარმომადგენელი ვალდებული იყო, დეტალურად აღერიცხა შემოწირულობის სახით მიღებული ნაბეჭდი პროდუქცია და თუ არ იქნებოდა სკოლის მიზნებისთვის საზიანო, გაეფორმებინა მიღება-ჩაბარების აქტი შემომწირველ პირთან. ამ შემთხვევაში, მიღება ჩაბარების აქტი უნდა შედგეს ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით, ისე რომ დოკუმენტიდან ირკვეოდეს მხარეების ვინაობა და უფლებამოსილება, გადაცემული (შესაბამისად, მიღებული) ინვენტარის დეტალური აღწერა და ღირებულება (შესაძლებლობის შემთხვევაში). კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლებელია შემომწირველმა ქონებას დაურთოს მისი შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაციაც, რაც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს შეფასებისთვის, თუმცა ხშირად ინვენტარის ჩუქების დროს მსგავსი დოკუმენტაცია არ მოიპოვება და სკოლა ვალდებულია, თავად, საკუთარი ხარჯებით გააკეთოს შეფასება.

ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელია, მოვლენის ამსახველი დოკუმენტის შექმნა ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის, რაც გამომდინარეობს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული, „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნიდან („ერთეული ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ეკონომიკური მოვლენების დამადასტურებელი ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების საფუძველზე. მატერიალური ან ელექტრონული ფორმით“). ამასთან, შემუშავებული უნდა იყოს ეკონომიკური მოვლენების ამსახველი დოკუმენტების ფორმები (უნიფიცირებული სახით, ასეთის არარსებობის შემთხვევაში), გაფორმების წესები, შესაბამისი აღრიცხვის წარმოებისა და კონტროლის მექანიზმები და პროცედურები. ამავე ინსტრუქციის თანახმად, დაწესებულების შესაბამისმა ერთეულმა უნდა უზრუნველყოს მის მიერ განხორციელებული ყველა ეკონომიკური მოვლენის ბუღალტრულ ანგარიშებზე ასახვის სისრულე.

დაგვიკავშირდით

მოგვწერეთ, რა გაინტერესებთ

გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება, იდეები, ინიციატივები

ჩვენ შევეცდებით, არცერთი შეკითხვა არ დავტოვოთ უპასუხოდ

SKOLISMARTVA@TPDC.GE

ეხლა სასწავლებლების
დაარსება, განათლების
გავრცელება ხალხის და
მის ნამდვილ კეთილ-
მყოფელთა სურვილია და
ამისათვის ეხლანდელ
სასწავლებლებს
აქვთ საძირკვლათ
დემოკრატიული ნიადაგი.